F 4
F 826 / 7294

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

1 XI 1991 ფასი 50 კაპ. № 41 (46)

## „ლოღიკავ, სადა ხარ?"

ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება დაეტყო ოპოზიციურ პრესას, ხელის ერთი დაკვრით ყველა ინტერვიუსა თუ წერილში „დიქტატორული მმართველობა", „ავტორიტარული რეჟიმით" შეიცვალა. რას უნდა მივაწეროთ ეს უცნაური ფერისცვალება? — მხოლოდ ოპოზიციის შეგნების დონის მკვეთრ ამაღლებას. ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეს სიტყვა „დიქტატორის" მნიშვნელობა და იძულებულნი გახდნენ, გაეწიათ ანგარიში იმ უბრალო აზრისთვის, რომ „უმრავლესობის" ნების თანახმად არასოდეს, არც ერთ ქვეყანაში დიქტატურა არ დამკვიდრებულა. დიქტატურა უმცირესობის იმგვარი გარჯის რეზულტატია ხოლმე, რაგვარადაც ჩვენი ოპოზიცია ცდილობს მოიპოვოს პოლიტიკური ძალაუფლება. ასეა თუ ისე, სასიამოვნოა, რომ ერთი ნაბიჯით წავიწიეთ წინ პოლიტიკური ტერმინოლოგიის გაუკვალავი სივრცეების ათვისებაში. ჯერი „ავტორიტარულ რეჟიმზე" დგას. იმედი მაქვს, ამ ახალ ეტაპსაც წარმატებით დავძლევთ.

მაგრამ, ნუთუ სამარადჟამოდ უნდა გაქრეს ჩვენი პოლიტიკური ლექსიკონიდან ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვები, როგორიც არის — „ბოდიში", „შემეშალა", „არასწორი ინფორმაცია იყო", „არ დადასტურდა", და სხვა, ნუთუ არასოდეს არავინ არ უნდა გაამათილოს საჯაროდ თავის მიერ უპასუხისმგებლოდ ნასროლი ამდენი სიცრუე და ცილისწამება? შევახსენებთ მკითხველს რამდენ ამგვარ მოგონილ „საშინელებაზე" იყო დაფუძნებული ბოლო ორი თვის მანძილზე პოლიტიკური სიტუაციის ესკალაცია.

1. ზვიად გამსახურდიას ხელს აძლევს დესტაბილიზაცია, ამიტომ, ბრძანება გასცა, დაერბიათ მშვიდობიანი მიტინგი ორ სექტემბერს. ცოტა ხნის წინ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ერთ გენიალურ „ეპისტოლეში" ნათლად დავინახეთ, ვის ეძვირფასება საქართველოში არეულობა, მაგრამ ის, რაც უპატიებელი ცოდვა იყო გამსახურდიასთან ჰანტურიას უიოლესად ეპატია — რა მოხდა მერე, ვინ რა იცის, რა მნიშვნელობას დებს ჰანტურია სიტყვაში „დესტაბილიზაცია", იქნებ სწორედ სიმშვიდის დამყარებას გულისხმობს ამ სიტყვის ქვეშ? სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჩვენს ოპოზიციონერებს „გამსახურდიასეულ სტაბილიზაციას" ჰანტურიასეული „დესტაბილიზაცია" ურჩევნიათ. რას იზამ, კაცია და გუნება, ერთისგან სალამსაც არ მიიღებს ადამიანი, მეორისგან გინებაც ესიამოვნება. ეს ამოუცნობი ფსიქოლოგიური ნიუანსი მკვიდრად იკიდებს ფეხს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2. ზვიად გამსახურდიას სისხლი სწყურია. ამ მძიმე ბრალდების შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

3. რაიონებიდან ჩამოიყვანა ხალხი, რომ თბილისელებს „გადაუარონ", „ჩაქოლონ", „ამოწყვიტონ", ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას ხომ თავისი განუმეორებელი სპეციფიკა აქვს, ამიტომ ნუ დავიწყებთ გულუბრყვილო კითხვების დასმას რატომ ეძრახვის გამსახურდიას ის, რაც მანამდე პოლიტიკურ გამჭრიახობად ეთვლებოდათ ელცინსა და ლანდსბერგისს. თუ გვინდა გავერკვიოთ ურთულეს პოლიტიკურ ხლართებში, აპრიორულად უნდა მივიღოთ ერთი უეჭველი პოსტულატი — ყველას ყველაფერი ეპატიება, გამსახურდიას ისიც კი არ ეპატიება, რაც სხვას ღირსებად მიეწერება.

ახლა ვიკითხოთ, რად სჭირდებოდა გამსახურდიას თბილისელების „მიწასთან გასწორება", — იმიტომ მხოლოდ, რომ თბილისელები კარგები არიან, ეს გახლავთ საერთაშორისო ცივილიზაციას მიახლოებული (ან მიახლებული) ევროპულ-დასავლური კუნძული საქართველოს ველურ ტრამალებში და თუ ერთპიროვნული მმართველობა გსურს, პირველად სწორედ ეს პროგრესული კრებული, რაფინირებულ ევროპიელთა, უნდა მოსპო. ასეც მოიქცა. ბარიკადების აღების დროს — უწყალოდ აკლეტინა უმართავ მასებს დახვეწილი კულტურტრეგერები. ყოფილი „იმელის შენობიდან" პანტაპუნტით ისროდნენ მარტოხელა ინტელიგენტებს, მერე თვალებს სჩიჩქნიდნენ და სადღაც მალავდნენ. იმ ღამეს 16 კაცი მოკვდა. უკაცრავად? არ დადასტურდა? საერთოდ არ იყო მსხვერპლი? კი მაგრამ, ეს ამბავი, ხომ მთელ თბილისს მოსდეს? მე კაცსაც ვიცნობ, რომელსაც თავისი ხელით გამოჰყავდა დაჭრილები ბარიკადებიდან. მოატყუა? დიახ. ეს მიუტევებელი ცოდვა, ცხადია, არ არის, მაგრამ კულტურულ საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესები ითხოვს, რომ საჯაროდ თქმული ტყუილის გამო, საჯაროდვე მოიხადონ ბოდიში, მაგრამ ეს უბრალო ფორმალობაა და, ჩვენი პოლიტიკოსები ხომ ფორმალისტები არ არიან, ამიტომ ბოდიშსაც არ იხდიან. დღეს, არა, ხვალ გაუმართლებთ, დაღვრის პრეზიდენტი სისხლს, აბა რა იქნება, მითუმეტეს, თუ ოპოზიციონერები მეცადინეობას არ დააკლებენ, რომ ეს ასე მოხდეს.

4. პრეზიდენტს, როგორც ჩანს, ეცოტავა ბარიკადების დროს დაღვრილი სისხლი და ახლა შავნაბადაზე დისლოცირებულ ჭეშმარიტ თბილისურ გვარდიას შეუტია. იმ საშინელ ღამეს 60 პირშიშველი ჭაბუკი დაიღუპა. ამის შესახებაც დაუყოვნებლივ ემცნო თბილისს. დარდისა და ცრემლისაგან დაბრმავებული ოპოზიციონერი პოლიტიკოსები მთელ ქალაქში დაჰქროდნენ მანქანებით, ზვიად გამსახურდიამ ქართველები ამოგვჟლიტაო. მერე რა, რომ არც ეს აღმოჩნდა სიმართლე, თავისი ფუნქცია ხომ შეასრულა, დაძაბა ვითარება! ბოდიში? არა, ჩვენ ეს წესად არ გვაქვს. თანაც ისეთი წვრილმანია; ვის რჩება საბოდიშო დრო, როცა ხელისუფლების გადაყენება-გადადგომას ითხოვს საქართველოს მთელი მოაზროვნე, ინტელექტით და კულტურით გაბრწყინებული ნაწილი.

5. არ იკმარა პრეზიდენტმა ქართველის მიერ დაღვრილი ქართველის სისხლი და ჩეჩენ-ინგუშები მოუსია ოპოზიციას. კავკასიიდან ჩამოიყვანა კბილებამდე შეიარაღებული ვაინახები, რომელთაც არც ტყვია ეკარებათ, არც დანა სჭრის, არც შხამი იღებს. ეს წინასწარვე იცოდა პრეზიდენტმა, ამიტომაც მიუშვა თბილისურ გვარდიაზე, თორემ ერთი ჩეჩენიც რომ მომკვდარიყო შეტაკებებში, ხომ ვერასოდეს გაიმართლებდა თავს კავკასიის წინაშე, ჩემი მხარდამჭერები ან არ ვარგოდნენ, ან სასიკვდილოდ შემეცოდნენ, ამიტომ სხვისი ხელით გადავწყვიტე ჩემს ქვეყანაში ოპოზიციის ალაგმვაო. იქაც, მგონი, ზღვა სისხლი დაიღვარა. ყოველ შემთხვევაში, მრავალი თვითმხილველი არსებობს აქ დატრიალებული ტრაგედიისა. ესეც ემცნო საქართველოს. მართალია აღარ დადასტურდა, მაგრამ ღირს ასეთი შეცდომა ბოდიშის მოსახდელად?

6. პრეზიდენტის ახალი სისხლიანი პროვოკაციით უკვე მართლა სასოწარკვეთილმა ოპოზიციამ გადაწყვიტა პირისპირ შებმოდა დიქტატორს. ან სიკვდილი ან გამარჯვება! რა გასაკვირია, ისეთ სიცოცხლეს ხომ ფასი არა აქვს, რომლის წართმევას სულ გემუქრება ან პრეზიდენტის მხარდამჭერი ვინმე შემზარავი ქალი (ეს ისეთი ქალია, რომლის დანახვა ნებისმიერ მამაკაცს შიშის ზარსა სცემს, როგორც ჩანს საქართველოში ოდითგან არსებობდნენ ასეთი ქალები. სხვას ვერაფერს მივაწერთ ვარსქენის ისტერიულ გაალმასებას თავისი მეუღლის მიმართ), ან რაიონიდან ჩამოსული მეომარი, ან ინგუში და თურქი. ეს გახლდათ გადამწყვეტი ბრძოლა, სადაც მთელმა ოპოზიციამ ერთხმად გადაწყვიტა ან სიკვდილი, ან თავისუფლება. დაჩოქილი ცხოვრება აღარ შეეძლოთ. საქართველოს პრეზიდენტმა არც აქ უღალატა თავის სისხლიან პოლიტიკას და უწყალოდ ჟლიტა მეამბოხენი. ერთ-ორ დეპუტატსაც მოხვდა თავში (სამწუხაროდ, ურეზულტატოდ. არავითარი რეფლექსია არ გამოუწვევია). მართალია არც ეს დადასტურდა, მაგრამ ემოცია ხომ დარჩა. ხომ ჩაიბეჭდა ზოგიერთის ტვინში, რომ გამსახურდია „სისხლისსმელი დიქტატორია". ბოდიში არც აქ არის სახსენებელი.

ჩვენი წერილი სასიხარულო ცნობით დავიწყეთ; საქართველოში დიქტატურა გაუქმდა, ავტორიტარული რეჟიმი დამყარდა-თქო. იმასთან შედარებით, რაც აქამდე იყო, ეს უდავო გამარჯვებაა. იქნებ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ დემოკრატიამდეც მივიდეთ. რაც მთავარია, იმისი იმედი არ გვტოვებს, რომ ოპოზიცია გარჯას არ მოაკლებს ამ საშურ საქმეს. ერთი კი გვინდა ისე, ჰვრეტისთვის, თავისუფალ ჟამს თავის შესაქცევად მოვაგონოთ ჩვენს მკითხველს — ყველა ის ბრალდება, რომელიც დღეს არსებობს საქართველოს პრეზიდენტისა და ქართველი ხალხის მიმართ, უკვე არსებობდა ეროვნული მოძრაობის პირველივე დღეებში. ჯერ არც პრეზიდენტი იყო გამსახურდია და არც ქართველ ერს მოესწრო თავისი საშინელი სიბნელის გამოვლენა. 1988 წლის ნოემბრის შიმშილობა გაიხსენეთ — ფაშისტი, ბოლშევიკი (მოგვიანო ვარიანტში ნეობოლშევიკი), პატივმოყვარეობის და ამბიციის მპყრობელობაში მყოფი დიქტატორი გამსახურდია ყველაფერს კადრულობდა, რათა თვინიერი კომუნისტური მმართველობა, დემოკრატი პატიაშვილით სათავეში, სისხლისღვრისკენ წაექეზებინა. მაშინაც, გახსოვთ, საქართველოს ყოველი მხრიდან მოემართებოდნენ „უმართავი მასები", რათა „სისხლიანი ვაკხანალია" მოეწყოთ დედაქალაქში. ასე თუ მოიქცეოდნენ რაღა დარჩებოდა საცოდავ კომპარტიას? ხომ უნდა მიეშვა მათზე რუსული ტანკები? სახელმწიფოს ხომ სჭირდებოდა თავდაცვა? რაღა სახელმწიფოა თუ ყველაფრის უფლებას გაძლევს.

გახსოვთ, ვის ეკისრებოდა მაშინ პასუხისმგებლობა? ზვიად გამსახურდიას, ანუ ოპოზიციას. ახლა? ზვიად გამსახურდიას, ანუ ხელისუფლებას.

დიდო ილიავ, როგორ ყოველწამს შეგვახსენებ ხოლმე თავს — „ლოღიკა, სადა ხარ?"

**თამარ ეზრალიძე**

## არც ისე ხავერდოვანი რევოლუცია

**განვლო** ერთმა წელმა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

მღელვარებით, განსაცდელით აღსავსე ერთმა წელმა. ომი სამაჩაბლოში, დაძაბული, ფეთქებადსაშიში მდგომარეობა საქართველოს ზოგ რაიონში, ორი დამანგრეველი მიწისძვრა, აღმავალი ინფლაცია, ამას დამატებული დარღვეული და სრულიად მოშლილი სტრუქტურები სახელმწიფო თუ სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, კორუფცია, მექრთამეობა, გულგრილობა, სრული ეკონომიკური ბლოკადა გარედან, საბოტაჟი და შეიარაღებული პოლიტიკური დაპირისპირება ქვეყნის შიგნით. აი, მოკლე ქრონიკა მოვლენებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე. თუნდ ერთი, ამ მრავალ მიზეზთაგანიც კი, საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რათა შეეფერხებინა მისი წინსვლა. ჩვენ კი, განუწყვეტლივ გვიკიჟინებენ, ხელისუფლება უუნარო აღმოჩნდა და ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან ვერ გამოიყვანაო, ხელისუფლებამ ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა და რეპრესიებიც შორს არ არისო, ხელისუფლება ყველგან და ყველაფერში სუკის აგენტებსა და მოღალატეებს ხედავსო. ყოველივე ისე უნდათ წარმოაჩინონ, თითქოს 70-წლიანი კომუნისტური დიქტატურის შემდეგ, ჯადოსნური ჯოხის ერთი დაკვრით კომუნისტური მაფიაც შეწყვეტდა არსებობას, სუკიც და ამ დროიდან მისი მრავალათასიანი აგენტები და ინფორმატორები ქვეყნის საზიანოდ აღარასდროს გაირჯებოდნენ. საქართველოში სუკის არქივები ჯერ გახსნილი და გამომზეურებული არ არის, მაგრამ არ გვგონია, რომ ჩვენში აგენტურის უფრო ვიწრო ქსელი ყოფილიყო, ვიდრე გერმანიასა (მოსახლეობის 10%) და ჩეხოსლოვაკიაში (140 ათასი მხოლოდ ინფორმატორი, რომელთაგან არც ერთი უშიშროების კომიტეტის შტატში არ ირიცხებოდა.) ასე რომ, ნუ წარმოვიდგენთ თითქოს სუკის აგენტის ხშირი ხსენება ვინმეს აკვიატებული აზრი იყოს. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, მეგობრებო, ეს პრობლემა რეალურია, სამწუხაროდ... ასე რომ არ იყოს, ჩეხოსლოვაკიის პარლამენტი არ მიიღებდა იმ კანონს, რომელიც „ხავერდოვანი რევოლუციის" ორი წლის თავზე მიიღო. კერძოდ, ყოფილ უშიშროების კომიტეტის საკადრო თანამშრომლებს, რეზიდენტებს, აგენტებს, ინფორმატორებს... რაიკომის მდივნებსა და სხვა პარტიულ მდივნებს, ამ ორგანოების პრეზიდიუმის წევრებს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, სახალხო მილიციის წევრებს (ჩეხოსლოვაკიის კომ. პარტიის შეიარაღებული ნაწილები), ქ. მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის უმაღლესი სკოლის, ასევე სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი პოლიტიკური სკოლის მსმენელებსა და ასპირანტებს, ყველა ზემოთჩამოთვლილ პირებს 5 წლის ვადით ეკრძალებათ თანამდებობების დაკავება ჩეხოსლოვაკიის არმიასა და სახელმწიფო ორგანოებში, უშიშროების ფედერალურ-საინფორმაციო სამსახურში, პოლიციის კორპუსში, ქვეყნის პრეზიდენტის კანცელარიაში, პარლამენტში, კონსტიტუციურ სასამართლოებში, მთავრობის პრეზიდიუმში, მეცნიერებათა აკადემიაში, ასევე ჩეხოსლოვაკიის ტელერადიო მაუწყებლობასა და სატელეგრაფო სააგენტოში. მათ ეკრძალებათ აგრეთვე ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავება სხვადასხვა რანგის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სააქციონერო საზოგადოებებში, სადაც აქციათა უმრავლესობა სახელმწიფოს ეკუთვნის, ასევე საგარეო ვაჭრობისა და საფინანსო ინსტიტუტებში. გარკვეული შეზღუდვებია მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლებისა და სახელმწიფო არბიტრთა დანიშვნისას.

ჩეხოსლოვაკიაში მიღებულმა „კანონმა შეზღუდვების შესახებ" დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ოპოზიციამას „კუდიანებზე ნადირობას" უწოდებს, ვინაიდან ეს კანონი მილიონობით ადამიანს შეეხება და აკი შეეხო კიდეც. როგორც იუწყებიან, რიგითი მოქალაქეები მზად არიან გადაიხადონ 200 კრონი, რათა აიღონ ცნობა იმის თაობაზე, რომ არც ლეგალურად და არც არალეგალურად უშიშროების კომიტეტთან არ უთანამშრომლიათ.

ცხადია, ამგვარი კანონის მიღება ბედნიერი ცხოვრების შედეგი, ალბათ, არ ყოფილა. დღეს ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლება ერთ საკითხს დაუფიქრებია: „ხომ არ იყო „ხავერდოვანი რევოლუცია" ზედმეტად ხავერდოვანი?"-ო. ასე რომ, ძვირფასო მეგობრებო, ჩეხოსლოვაკიაში, სადაც კომუნისტური დიქტატურა მხოლოდ 1948 წელს დამკვიდრდა, ლამის ყოველი მეათე ადამიანი იმ ორგანიზაციის წევრი ან მისი ინფორმატორია (ეს დოკუმენტურად დასტურდება), რომელსაც უშიშროების კომიტეტი ჰქვია, წარმოიდგინეთ რა ხდება, ალბათ, ჩვენში. ასე რომ, სუკის აგენტის იარლიყი ყოველთვის მცდარი როდია, გულის გულში ხომ ყველამ ვიცით ვინ ვინ ვართ, იქნებ ისე გავისარჯოთ, რომ საიდუმლო არქივების გახსნა არც გახდეს საჭირო, უსიამოვნოა სულში ხელის ფათური, მით უფრო, როცა ეს შენი ერის სულია.

**თამარ გულბანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ, და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში.

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მის შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. აგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო—მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით", „მეფე ლირით" ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივდივართ; ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით" და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? — არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჰკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე—საზრდოდ, ნანა—მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია,— ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ, თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე, ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, — სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშოლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა. თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს. იგი სალხარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითონ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

**ვაჟა-ფშაველა**

---

**წერილი რედაქციას**

# როგორ იცავს ზოგიერთი ჟურნალისტი დემოკრატიის პრინციპებს

**კრიტიკული** სიტუაცია ადამიანის სიღრმეში დამალულ ბევრ თვისებას გამოაჩენს. სექტემბრის მოვლენების შეფასებას, ალბათ, კიდევ მრავალჯერ დავუბრუნდებით და პრესაც თავის როლს შეასრულებს მომხდარის გააზრებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთი გაზეთი ნამდვილად ვერ შექმნის ობიექტურ სურათს. „ახალი კარაბადინის" № 19 ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „საუცხოო" მხოლოდ ქართულშია" (ავტორი ნანა ონიანი) მოყვანილია ჩემთან ინტერვიუ. ქალბატონ ნანას საუბრისას რამდენჯერმე ვთხოვე, გაეცნო ჩემთვის ტექსტის საბოლოო ვარიანტი. სამწუხაროდ, გამოცდილებით ვიცი, რომ ბევრი ჟურნალისტი უფრო საკუთარ ინტერპრეტაციას აქვეყნებს ხოლმე სხვისი სახელით. ამჯერადაც იგივე განმეორდა, ჟურნალისტმა ინტერვიუ აიღო და გაზეთში დაბეჭდილ წერილში საკუთარი აზრები, პოზიცია მე მომაწერა. ქალბატონ ნანას სექტემბრის მოვლენების სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი აინტერესებდა. ეს საკმაოდ სერიოზული თემაა. ინფორმაციის ტენდენციურმა განლაგებამაც კი მკითხველს შეიძლება დამახინჯებული წარმოდგენა შეუქმნას. სამწუხაროდ, ქალბატონმა ნანამ არათუ ტენდენციურად განალაგა ჩემი სიტყვები, არამედ ისეთი შეფასებებიც მომაწერა, რომელიც ჩემთვის უცხოა. ჩემის აზრით, არჩევნებში ქართველმა ერმა გამოხატა რა თავისი სურვილი დამოუკიდებლობისა, მიემხრო ყველაზე რადიკალურად განწყობილ მრგვალი მაგიდის ბლოკს. საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა ზვიად გამსახურდიას სახელთან გაიგივდა. საქართველოში ოდითგანვე ავტორიტეტებს დიდ პატივს სცემენ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ზვიად გამსახურდიას პოპულარობა. ქალბატონმა ნანამ ჩემს ნათქვამში საკუთარი ტერმინები „ფანატიზმი", „ზვიადისტები" შემოიტანა და სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა ყოველივეს.

ჩემს ნათქვამს ასეთი წინადადებაც დაემატა: „ზვიადისტებისთვის" ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი გახლავთ ოპოზიციის არა თუ მოთხოვნები, არამედ არსებობაც კი". საკმაოდ კარგად ვიცნობ ოპოზიციურ პრესას, ასეთი შეფასება „ზვიადისტების" მიმართ ყველაზე რადიკალურად დაპირისპირებულ პირებსაც არ გამოუთქვამთ, როგორც ჩანს, ქალბატონი ნანასთვის ერთობ ძნელია პროფესიული საქმიანობის შესრულებისას საკუთარი პოზიციის სხვისთვის არმიწერა. საერთოდ, „ზვიადისტების" „ფანატიზმზე" საუბარი მეჩვენება, რომ უკვე რეალობის დამახინჯებაა, როდესაც ლაპარაკია ლეგიტიმური მთავრობის მხარდაჭერაზე.

ასევე მხოლოდ ქალბატონ ნანას მდიდარ ფანტაზიას უნდა მიეწეროს შემდეგი კლასიფიკაცია: „ოპოზიციის მომხრეები — ასაკი 20-30 წელია, სქესი — მამაკაცები (მასას ვგულისხმობ), „ზვიადისტების" — ასაკი გახლავთ 45-50 წელი, სქესი — ქალები".

რა თქმა უნდა, ქალბატონ ნანას აქვს უფლება საკუთარი აზრი ჰქონდეს მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ რა საკადრისია ამ აზრის სხვისთვის მიწერა. ამით ხომ იმ პიროვნების უფლებებიც ირღვევა და მკითხველისაც. მკითხველსაც აქვს უფლება ობიექტური ინფორმაცია მიიღოს.

**გიორგი ციფიანი**
18.X.91

---

# „ეგრეთწოდებული საქართველო..."

**გესმით**, ხალხნო, რა განაჩენი გამოგვიტანა იმპერიის ნანგრევებზე მოფართხალე ჰარტალა ჰოტმა? „ეგრეთ წოდებული საქართველო!"

გაგვაუქმა! გაგვიუქმა სამაჩაბლო, ეგრე ინება, ოსეთად გვიქცია, ათასწლოვანი ეკლესიები დაგვიწვა, აგვაოხრა, სამიათასხუთასწლოვან ქვეყანას წითელი ხაზი გადაუსვა: „აქ იყო ეგრეთ წოდებული საქართველო!"

„ვრემიას" ეკრანიდან რომ ჰოტის კივილი გაისმა, ეს უფრო ჩვენი — ეგზომ გამაღიზიანებელი ძლიერებისა და დრომოჭმულის მსაჯულის სისუსტის ნიშანია, მეტი არაფერი, მაგრამ ჩვენთვის ასეთი მორიგი გამოხდომაც სასარგებლო უნდა გახდეს იმ თვალსაზრისით, რომ უფრო შევიკრათ, ერთ მუშტად ვიქცეთ, შევწყვიტოთ ქიშპი, მივუტევოთ ერთიმეორეს, ავმაღლდეთ პირადულზე, საერთო ძალით შევინარჩუნოთ მონაპოვარი და ერთხელ კიდევ დავუმტკიცოთ მტერს, რომ ქართველის დამარცხება მხოლოდ ქართველს შეუძლია, სხვას არავის.

რა წავართვით, რას გვემართლებიან, რა ჭკუას გვასწავლიან გაკოტრებული პოლიტიკანები, რა უფლებით გვაუქმებენ და აფათურებენ სისხლიან ხელებს ჩვენს შინაურ საქმეებში? რა შექმნეს? როცა პირველი სახელმწიფო შეაკოწიწეს, კოლხეთის სახელმწიფოს უკვე ჰქონდა სულ ცოტა ორიათასწლოვანი ისტორია. ტროას ომის ჟამს ეხება ალექსანდრიელი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის სიტყვა: „ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლევამოსილი კოლხეთის მეფეს! თუმცა შორს არის, თუ მოინდომა, ელადაშიაც შეიძლებს შეჭრას". შემდეგ გორგასალი, აღმაშენებელი, თამარი, მუსულმანურ ურდოებთან და მონღოლებთან გამართული ათასწლოვანი უთანასწორო ომი, და ისევ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირით გაბოროტებული შაჰებისა და სულთნების ამაოხრებელი ლაშქრობანი, ქართული იარაღის როლი რუსეთის იმპერიის გადარჩენაში... რომელ ერთს გაიხსენებ? ეს უცნობი და უნიადაგო, უტვინო და შეფერთხილი ჰოტი კი მილიონებს გასაგონად ჩხავის: „ეგრეთ წოდებული საქართველო!" ის კი არ აგონდება, რომ როცა მის წინაპარს ანბანი შეუქმნეს, ჩვენ უკვე გვქონდა ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრები, ტაძრები და ფრესკები... შეაყარე ცერცვი კედელს — რა გამოლევს ქვეყნად რეგვენს! დეზინფორმაციების მღვრიე ნაკადში ირევა არაერთი გველგესლა, ქართველებად წოდებული განდრეკილი იუდების გუნდი, გესლიანი კომენტარებით რომ ამარაგებს მტრულ ძალებს. საოცარია, რა ჯილაგისა და ჭკუის პატრონი უნდა იყოს მოაზროვნე ადამიანი, რომ საკუთარ გენს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს ცილი სწამოს, თათხოს, დაამციროს. გადამთიელთა თვალში ასეთი „ქართველები" კი მართლაც შეიძლება „ეგრეთ წოდებულად" ჩავთვალოთ. ისინი მოკალათებულან გაზეთებში, „ვრემიაში", „თავისუფლებაში" (ცილისწამების თავისუფლებაში) და იქიდან ანთხევენ შხამს, საკუთარი მშობლის გამყიდველნი! საოცარია სწორედ! გუდავას, ჩალიძეს. თავხელიძეს და სხვებს ახლა ვინმე ნოდარ ერისთავიც მიემატა, და კარგს იზამს, თუ რაფიელის, გიორგის და სხვა დიდებულ მამულიშვილთა გვარს გადააკეთებს, მაშინ ისიც ეგრეთ წოდებული ქართველი იქნება და არც მისი ექსცესები გაგვიკვირდება.

ისევ ნანგრევებზე მოფართხალე ჰოტს დავუბრუნდეთ, ყოველდღე ხმის ჩახლეჩამდე რომ დასჩხავის ყურს საქართველოს. ერთხელ სარკეში ჩაიხედოს, რა დარჩა უკან: სისხლის ზღვა! სიკეთისათვის დაღვრილი სისხლი კიდევ გასაგებია, მაგრამ ბოროტებისათვის დაღვრილი უბრალო სისხლი ცას შეჰღაღადებს. ძალაუფლების წყურვილით გაავთრებულმა მანიაკმა, ერთ დროს ყველა ჩვენგანისაგან გულუბრყვილოდ განდიდებულმა ლენინმა ხომ სულ მცირე ათი მილიონი ადამიანის ცოდვა აიკიდა! მის კისერზეა რომანოვების სისხლიც. რა გულუბრყვილობაა, მისი მემკვიდრეებისაგან რაიმე სიკეთეს ელოდე!

კმარა! დაიშალა ეგრეთ წოდებული იმპერია, მშვიდობის ბურჯი, საბჭოთა კავშირი, გასრესით გვემუქრება და დროა გონს მოვეგოთ, ძმობის დუღაბით შევიკრათ, რომ ნანგრევებში არ მოხვდეს „ეგრეთ წოდებული საქართველო"!

**აკაკი გელოვანი**

---

# პასუხი ჭიათურელ და თბილისელ ოპონენტებს

**(დასასრული)**

თები იმისა, რომ ბრინჯი ქველმოქმედების, ჰუმანიტარული დახმარების სახით დაურიგდა მოსახლეობას? რა გზით მოხვდა მაღაზიებში კომერციულ ფასებში გასაყიდი ბრინჯი?

ჭიათურის სატრანსპორტო საწარმოს დირექტორთან ჩ. მასხარაშვილთან დაკავშირებით კი უნდა მოგახსენოთ, რომ ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის 1990 წლის 20 დეკემბრის № 14/3 დადგენილების, მინისტრის აღნიშნული წლის 19 დეკემბრის № 31 და 24 დეკემბრის № 35 ბრძანებების თანახმად ბატონ რუჯერს უხეში დარღვევებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ამგვარი დადგენილება რეაგირებისათვის როცა ეგზავნება პრეფექტურას, სავსებით ნათელია თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული საპასუხოდ.

ხოლო ის ფაქტი, რომ პრეფექტურამ ხელი შეუშალა ჩვენი ჭიათურაში ყოფნის დროს პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგის ჩატარებას, დაფიქსირებულია ჭიათურის მცხოვრებთა (მათ შორის გახლავთ ქალაქის საკრებულოს რამდენიმე დეპუტატი, ამავე საკრებულოს გამგეობის წევრი, ჭიათურის სტატისტიკის განყოფილების უფროსი და „ჭიათურმანგანუმის" საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე) წერილობით განცხადებაში, რომელიც მიიღო ჩვენმა რედაქციამ. ის ფაქტი კი, რომ პრეფექტსადმი რწმუნებული აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა თბილისისკენ არ გამოუშვეს პრეზიდენტის მხარდამჭერთა კოლონა, აგრეთვე აღნიშნულია ჭიათურის მცხოვრებთა სხვა წერილობით განცხადებაში. ბატონო ნოდარ, უნდა შეგვეძლოს პუბლიკაციაში ავტორისა და სხვა პიროვნებათა მტკიცებების გარჩევა. მეტადრე, თუ ეს ცხადად იკითხება ჩვენს სტატიაში.

რაც შეეხება ჩემს უსაფუძვლოდ, უკანონოდ აყვანას სახლის მეპატრონედ, ამის შესახებ გთხოვთ, იხილოთ ქ-ნ ნანა დოლიძის წერილი „სეთური ბოზოქრობს", რომელიც ჩვენი გაზეთის 28-ე ნომერში გამოქვეყნდა. ხოლო სახლის მეპატრონედ ჩემი აყვანის ფაქტი, რომელიც ბატონ ილო ლაბაძეს მიეწერება, არ შეესაბამება სიმართლეს, მისი მხოლოდ რეზოლუცია გახლდათ ჩემს მიერ წარდგენილ სათანადო დოკუმენტაციაზე. ჯობდა, ჯერ გაგერკვიათ ეს საკითხი, ბატონო პრეფექტო, და მხოლოდ ამის შემდეგ დაგებეჭდათ „ბრალდება" თქვენს პასუხში.

მივლინების ვადის თვითნებურად გაზრდისა და ჩემს მიერ საბუთის „გაყალბების" თაობაზე კი უნდა ითქვას შემდეგი, ჩვენი გაზეთის 25-ე და 28-ე ნომრებში გამოქვეყნებულ ქ-ნ ნანა დოლიძის სტატიებში არსებული მონაცემების „შესასწავლად" ა. წ. აგვისტოში პრეფექტურის მიერ გამოყოფილ იქნა კომისია, რომელშიც შედიოდა იმხანად პროკურორის თანაშემწე, ამჟამად კი შ/ს ზონალური განყოფილების უფროსი ბ-ნი ბ. შეყილაძე, რომელმაც სვერში კომისიის ყოფნისას ჩემი პიროვნების სანდოობაში ეჭვის შეტანის საბაბით მომთხოვა პირადობის დამადასტურებელი საბუთები. მანამდე (სოფელში ჩასვლამდე), ვიცოდი რა ამ კომისიის არსებობის შესახებ და იმ ბარიერების შესახებ, რომლებიც შეიძლებოდა შემხვედროდა, მივედი რედაქციაში, რათა გამეგრძელებინა ჩემი კორესპონდენტად მივლინების რწმუნების ვადა. მაგრამ რედაქციაში არავინ დამხვდა და დროის უქონლობის გამო არსებულ რწმუნებაში შესწორება შევატანინე რედაქციის მდივან-მემანქანეს, თუმცა, სათანადო დამატებითი დამოწმება რედაქციის მხრიდან არ ყოფილა. ამიტომ, გადავწყვიტე ეს საბუთი არ გამომეყენებინა და ყოველი შემთხვევისთვის დაკეცილი სახით ჩავდე ჩემს ერთ-ერთ პირადობის მოწმობაში (პარალელურად ისტორიის ინსტიტუტშიც ვმუშაობ). საბუთების მოთხოვნისთანავე, ისე, რომ ეს ფაქტი არც კი გამხსენებია, მოწმობები გავუწოდე ბატონ შეყილაძეს. მან დოკუმენტი გამომგლიჯა ხელიდან, რის შემდეგაც იგი დაიხა (მოწმეებმა ეს ფაქტი დაადასტურეს კომისიის მიერ დაუყოვნებლივ შედგენილ აქტში შენიშვნის გაკეთებითა და ხელის მოწერით).

აი, ამგვარი გახლავთ „ყალბი საბუთის" მთელი ისტორია.

ახლა ბატონ ალ. შალამბერიძის განცხადებაზეც მოგახსენებთ. იგი აღშფოთებული აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მმართველობის ბიუროს არ გაუცია არავითარი ნებართვა წერილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ბატონ ალექსანდრეს გვინდა შევახსენოთ, რომ თანხმობა არსებობდა და საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია საბუთიც წარმოვადგინოთ.

**ლევან ურუშაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენთან „რევიზორი" ჩამოვიდა ანუ მართლაცდა რა ხდება ჭიათურაში

**გაზეთ** „თავისუფალი საქართველოს" 18 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ბატონ ლევან ურუშაძის წერილი: „სამართლიანობის აღდგენისათვის ანუ რა ხდება ჭიათურაში". ამასთან დაკავშირებით მინდა სრულიად მშვიდად გავაკეთო განცხადება: მე მოხარული ვარ, რომ ასეთი წერილი გამოქვეყნდა. მოხარული ვარ იმდენად, რამდენადაც ბოლოს და ბოლოს აღმოვაჩინე ჩემს წინააღმდეგ მომართული ყველა ცილისწამების, ჭორის წყარო. აქამდე ამას ზურგს უკან ძირის გამოთხრის, ჩასაფრების ხასიათი ჰქონდა, რასთან ბრძოლაც, დამერწმუნებით ძალიან ძნელია და აი ახლა მომეცა საშუალება პირისპირ დავუდგე იმ ადამიანებს, ვისაც არაფრად ულირს ადამიანის ღირსების დაუმსახურებლად შელახვა, ცილისწამებით ვინმეს სიცოცხლის მოწამვლა და, რაც მთავარია, ტრადიციების მქონე ქალაქის პრესტიჟი. გმადლობთ, ბატონო ლევან, რომ მათი გამომჟღავნების საშუალება მომეცით.

ბატონო ლევან, თქვენ ჩემს პიროვნებას შეეხეთ და ამით დავიწყებ. იქნებ სჯობდა, როცა ჩემს ბიოგრაფიას ასე გულმოდგინედ ჩხრეკდით, დაგეწყოთ იმით, თუ რა გზა მაქვს განვლილი ეროვნულ მოძრაობაში. თქვენ აქ იპოვიდით 1978 წლის სტუდენტური გამოსვლების მონაწილეს, ქალაქ საჩხერეში ჰელსინკის კავშირის რაიონული ორგანიზაციის დამაარსებელ პიროვნებას. თქვენ იქ იპოვიდით სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა სახლების მშენებლობაზე უსასყიდლოდ რიგით მუშად წასულ კაცს, თქვენ იქ იპოვიდით სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის ოსი ექსტრემისტისაგან დასაცავად სამრად წასულ რიგით მებრძოლს, იპოვიდით საჩხერეში ჩამოყალიბებული ქართული გვარდიის პირველი ისტორიული, დიახ, ისტორიული შენაერთის ერთ-ერთ მეთაურს და ბოლოს, 11 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე ისტორიის მასწავლებელს. მკითხველმა მაპატიოს, რომ ყოველივე ამის ჩამოთვლა მომიხდა, მაგრამ რადგან ბატონმა კორესპონდენტმა ეს არ გააკეთა და ლამის სკამზე ჩაბღაუჭებულ კარიერისტად გამომაცხადა, დაე, აეხადოს ფარდა იმას, თუ ვინ ხართ თქვენ ბატონო ლევან და ვის უპირისპირდებით.

ბატონო ლევან, რაც შეეხება ჩემს კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე გატარებულ წლებს, ამის შესახებ ჩემს ავტობიოგრაფიაში ნათლად მაქვს მითითებული თავის დროზე და ამიტომ ტყუილად დაშვრით. მათ, ვისთვისაც ეს ახალი ამბავი გინდოდათ „გეხარებინათ", დიდი ხანია იციან, ვინ არის ნოდარ აბჟანდაძე. ამის შესახებ ჭიათურის მოსახლეობაც უკვე კარგად არის ინფორმირებული და მათთან ავტორიტეტის მოპოვებაში ამ მომენტს ჩემთვის არასოდეს შეუშლია ხელი, ვერც მომავალში შემიშლის.

ახლა შევეხოთ თქვენი წერილის იმ ნაწილს, სადაც წერია, რომ თითქოს მე ვმფარველობ კორუმპირებულ ელემენტებს. ამაზე პასუხს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა თანდასწრებით გაგცემთ, სადაც, ბატონო ლევან, მოგიხდებათ დამტკიცება, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს თქვენი ეს სერიოზული ბრალდება.

კიდევ ერთ ამაზრზენ ცილისწამებაზე მოგითითებთ, თქვენ წერთ, რომ პრეფექტის ე. ი. ჩემი მითითებით ჰუმანიტარული დახმარების მიზნით ქალაქში შემოსული ბრინჯი კომერციულ ფასებში გასაყიდად გადაეცა მაღაზიებს, რასაც თითქოსდა ადასტურებენ ზონალური საკრებულოს მდივანი ბატონი ჯ. ხარაიშვილი და პრეფექტურის კანცელარიის გამგე ბატონი ვ. დეკანოიძე. თქვენგან „აღმოჩენილი" ეს ფაქტი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს (სტილი თქვენია). ამით თქვენ ლაფის გადასხმა სცადეთ ჩემს არა მარტო სამსახურეობრივ, არამედ ადამიანურ ღირსებაზეც. აქაოდა, ნახეთ, პრეფექტმა მიწისძვრით დაზარალებულთა ბრინჯი „გააიმასქნაო". ამაოდ დაშვრით ბატონო ლევან, ამაოდ. თქვენ, ჭორებს აყოლილ კაცს, ჩემთვის ამ ბრალდების დამტკიცება მოგიწევთ სამართალდამცავი ორგანოების წინაშე. რაც შეეხება მათ, ვინც ვითომდა ეს ინფორმაცია მოგაწოდათ: ვ. დეკანოიძემ კატეგორიულად უარყო თქვენთვის მსგავსი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი. ახლა ჯ. ხარაიშვილზე შევჩერდეთ. სხვათა შორის, ეს ის ჯუმბერ ხარაიშვილია, ვის შესახებაც სულ ახლახან ქალაქ ჭიათურის ზონალურ საკრებულოს მეორე სესიის წინაშე პროკურატურის ინფორმაციის საფუძველზე, მე როგორც ქალაქის პრეფექტს, შეტანილი მაქვს წარდგინება თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის მისი საკრებულოს მდივნობიდან გადარჩევის შესახებ. აი, ვის უნდა ებრძოდეთ თქვენ, როგორც ჟურნალისტი, ბატონო ლევან! თქვენ კი, ნებსით თუ უნებლიეთ, ქალაქში წესრიგის და კანონიერების დამყარებისათვის მოწადინებული კაცის წინააღმდეგ გაილაშქრეთ, სწორედ ისეთ პიროვნებებთან ალიანსში, რომლებიც კანონს არად აგდებენ. ისე, მართალი გითხრათ, ვეჭვობ, რომ თვით ბატონმა ჯუმბერმაც გიმოწმოთ იმ აშკარა ცილისწამებაზე, რომელზეც კანონის წინაშე მოვითხოვ პასუხისმგებლობას მათგან, ვინც მე ეს საზარელი ბრალდება წამომიყენა.

ბატონო ლევან, თქვენ მე ბრალი დამდეთ, თითქოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის ბრძანების წინააღმდეგ წავედი და სამუშაოდან არ გავანთავისუფლე „ჭიათურის ზონალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი რ. მახარაშვილი". პირველ რიგში უნდა მიგითითოთ, რომ ძალიან ცუდი მოკარნახე გყოლიათ, ან თქვენ ვერ გაგიგიათ კარგად, რომ ასეთი საწარმო და, მით უმეტეს, ასეთი გვარის დირექტორი ჭიათურაში არ არსებობს. თქვენ ალბათ გულისხმობდით ჭიათურის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორს რ. მასხარაშვილს. ამ „წვრილმან" შეცდომაზე იმიტომ მიგითითებთ, ბატონო ლევან, რომ მას მოჰყვება უფრო დიდი შეცდომა. მაგალითად, ის, რომ არ არსებობს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის არავითარი ბრძანება რ. მასხარაშვილის სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე. ასე, რომ როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს თქვენთვის ეს, არარსებული ბრძანების წინააღმდეგი ვერ წავიდოდი. ცილისწამებაზე კი დაწვრილებით კანონის წინაშე ვისაუბროთ.

ახლა მე ერთად გავაერთიანებ თქვენს მიერ გამოთქმულ ორ ცილისწამებას: პირველი — თითქოს რაღაც „ძალებმა" ჩაშალეს ჭიათურაში „პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგი" და მეორე — თითქოს „ჭიათურის ზონის პრეფექტურამ თბილისისაკენ არ გამოუშვა პრეზიდენტის მხარდამჭერთა კოლონა". ბარაქალა, ბატონო ლევან, ასეთი „გამომგონებლობისათვის." სხვათა შორის ამ ცილისწამებისათვის უკვე მართლაც შესაძლებელია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც გამოჰკრათ ხელი.

თქვენ წერილში, ბატონო ლევან, იხსენებთ „პრეფექტის პირველ მოადგილეს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ზონალური საწარმოო გაერთიანების უფროსს ი. ლაბაძეს" და ამით კვლავ უზუსტობას იჩენთ, ი. ლაბაძე პრეფექტის პირველი მოადგილე არ გახლავთ. მის მიმართ წაყენებული ბრალდებების განხილვას კი კომპეტენტური კომისია გადაწყვეტს. მაგრამ აქ ერთი თქვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ არ აღვნიშნო არ შემიძლია. თუ არ ვცდები, 1989 წელს ბატონ ილოს თქვენ, ბატონი ლევან ურუშაძე თურმე კანონის დარღვევით ჰყოლიხართ აყვანილი თქვენ მიერ უკანონოდ აშენებული სახლის მეპატრონედ სოფელ სვერში. ალბათ ამ დროიდან მოყოლებული ვერ იტანთ მას დასანახავად, როგორც „კანონის დამრღვევს". თქვენი ურთიერთსიმპატიების რა მოგახსენოთ, მაგრამ პრეფექტად ჩემს მოსვლამდე მიღებული ამ უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება კი ნამდვილად მოგიწევს ჩემო ბატონო ლევან.

ბატონო შტატგარეშე კორესპონდენტო, თქვენ წერთ, რომ საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმს" 70 მილიონი ვალი აქვს. თანაც ცდილობთ, ეს ვალი რამდენიმე თვის წინ დანიშნული პრეფექტის ზურგზე შემოაგდოთ. არ გრცხვენიათ მაინც? ახლა რეალური სურათიც ვნახოთ: ჩემი პრეფექტად დანიშვნის პირველ თვეებში „მემკვიდრეობად" მივიღე გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" 50 მილიონამდე ვალი, რომელიც დღეისთვის განახევრებულია, გიმეორებთ განახევრებულია და კვლავ შემცირების ტენდენციებისაკენ მიდის. ამ სასიკეთო ძვრებს მარტო მე არ დავიბრალებ, ღმერთო კი მომკალი, მაგრამ ამით თქვენი ყოველგვარი ზღვარსგადაცილებულ ტენდენციურობა მინდა ვამხილო. აქვე აღვნიშნავ, რომ სულ რამდენიმე კვირის წინ რესპუბლიკის პრეზიდენტის დავალებით ვიმყოფებოდი ინგლისში, სადაც მიღწეული იქნა მე-3 ხარისხის მარგანეცის საერთაშორისო ბაზრის ფასებში გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. იმედს გამოვთქვამ, რომ ამ საქმიან ვიზიტსაც ქარაფშუტულ სეირნობად არ ჩამითვლით.

ბატონო შტატგარეშე კორესპონდენტო, წერილის დასაწყისში აღნიშნავთ თითქოსდა პრეფექტურის საქმიანობის, რეგიონში მდგომარეობის შესასწავლად ჩამოხვედით ჭიათურაში ბატონ ა. შალამბერიძესთან ერთად. ნება მიბოძეთ ეჭვი შევიტანო თქვენს უფლებამოსილებაში. თქვენთვის ასეთი დავალება არავის მოუცია. ამის თაობაზე თქვენ მკაცრად მიგეთითათ ბატონი პრეზიდენტისგანაც. ალბათ რედაქციის მიერ გაცემული და თქვენგან გაყალბებული მივლინება მიგაჩნიათ საბუთად, სადაც შტატგარეშე კორესპონდენტის მივლინების ვადა ოთხი დღიდან გაყალბების გზით 4 თვემდე გაქვთ გაზრდილი. მაპატიეთ და თქვენი საქციელი ემსგავსება გოგოლის უკვდავი „რევიზორის" პერსონაჟის ხლესტაკოვის მოგზაურობას.

დიახ, თქვენ საზაფხულო არდადეგებს სოფელში „საზოგადოებრივი დატვირთვა" პრეფექტურის შემოწმებაც მიუმატეთ. თქვენი განრისხება კი ჩვენმა ბუნებრივმა რეაქციამ — საბუთის მოთხოვნამ გამოიწვია, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს გაყალბებული დოკუმენტი საქმეში დევს, რომლის ქსეროასლსაც სიამოვნებით მივართმევთ ყველა დაინტერესებულ პირს.

თქვენ შეეხეთ ჭიათურაში 6 სექტემბრის შეხვედრას. ამ შეხვედრას ხალხის ნამდვილ რჩეულებთან, ზონალური და ქალაქის საკრებულოების დეპუტატებთან, სოფლის გამგებლებთან, თქვენ წინასწარ მომზადებული სპექტაკლი უწოდეთ. ეს იმიტომ, რომ ხალხის რჩეულებმა და არა ქუჩაში მოკრებილმა ჯგუფმა, დაუფარავად გითხრათ ობიექტური მდგომარეობა ქალაქში და ფარდა ახადა თქვენი ჯგუფის პროვოკაციულ საქმიანობას. თქვენს წერილში რატომღაც „გამოგრჩათ", რომ ამ შეხვედრას მე შეგნებულად არ დავესწარი, რათა ჩემი აზრი არავისთვის მომეხვია თავს.

ბატონო ლევან, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, რომ თქვენს ჯგუფთან ერთად როგორც იქნა, იატაკქვეშეთიდან გამობრძანდით და პირისპირ ბრძოლაში ინებეთ ჩაბმა. ისე, მართალი გითხრათ, იარაღი ნამდვილად უვარგისი აღმოგაჩნდათ, რადგან სწორედ ძველი სტერეოტიპებით ხელმძღვანელობთ, ამ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ მთავარია პრესაში გამოაქვეყნოთ არასასურველი თანამდებობის პირის სალანძღავი პასკვილი და მერე „იმ კაცის საქმე წასულია". აქ მინდა მოვიშველიო წერილის დასაწყისში თქვენს მიერ გამოყენებული ფრაზა „კომუნისტურ-ბოლშევიკური მმართველობის დრონინდელი უშნო გადმონაშთის ძამლა" (სტილი თქვენია), რომელიც სავსებით მიესადაგება თქვენს მიერ ქალაქ ჭიათურის და ჩემს წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლის სტილს.

არა ბატონო ლევან! სამართლებრივი სახელმწიფოს შენება სწორედ კანონის უზენაესობის აღიარებით იწყება, ხოლო ვინ არღვევს კანონს, მე თუ თქვენ, ამას კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ.

ბატონო ლევან, თქვენს წერილში ეხებით ჭიათურაში ქალაქის პრეფექტად ჩემი დანიშვნის საწინააღმდეგო აქციებს. ჭიათურის მთელმა საზოგადოებამ იცის, რომ ეს იყო კარიერისტთა ერთი ჯგუფის მიერ ინსპირირებული აქციები, რომლებიც მათთვის სასურველი პიროვნების გაყვანას მოითხოვდნენ პრეფექტად. წერილში თქვენს მიერ ჭიათურის „ინტელიგენციად" მონათლული პიროვნებები და ამ აქციის ორგანიზატორები კი ერთი და იგივე ხალხია და ეს წერილიც, ჩემის ღრმა რწმენით, იმ აქციის გამოძახილია, ოღონდ ახლა უკვე აშკარა, თვალშისაცემი ფორმით. გირჩევდით, შეგესწავლათ ამ ხალხის ბიოგრაფიები და კარგად გაგერკვიათ ვის ეყრდნობით ჭიათურაში.

არ შემიძლია თქვენს „მცირეოდენ" შეცდომებზეც არ აღვნიშნო ერთი ორი სიტყვით. ბატონო ლევან, გთხოვთ, ახლა მაინც გაიგოთ, რომ არ არსებობს „ჭიათურმანგანუმის" მთავარი საგაფიცო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. და კიდევ, რას ერჩით დარკვეთის საშუალო სკოლის პედაგოგს ბატონ გუგულა კაპანაძეს, რომელიც „ქალბატონად" მონათლეთ? ასევე უნდა ითქვას, რომ თქვენს მიერ წერილში მოხსენებული ზ. უთალიშვილი არ გახლავთ ჭიათურის კულტურის სახლის დირექტორი. ჰო, მართლა, დღემდე ვფიქრობთ და ვერ დავადგინეთ, ზომის რა ერთეულია თქვენს მიერ ხსენებული „130 კუბომეტრი"? ერთხანს ვიფიქრეთ, რომ ეს იყო 130 ცალი კუბო (მეტრიანი ზომის) (მტერს არ ვუსურვებთ), შემდეგ გვეგონა, რომ ეს იყო 130 მეტრიანი კუბო. ბოლოს ძლივს მივედით იმ დასკვნამდე, რომ თქვენ ალბათ გულისხმობდით 130 კუბურ მეტრს. კიდევ ბატონო ლევან, იქნებ აგვიხსნათ, რას ნიშნავს ფრაზა: „მოსახლეობის ერთპიროვნული ჩვენებით"? ამ ბოლო სიტყვას სხვაგანაც ძალიან ხშირად ახსენებთ. თავს ნებას მივცემ და შეგისწორებთ, რომ ჩვენება არ შეიძლება გამოძიების, მოკვლევისა და სასამართლოს გარდა ვინმეს ჰქონდეს პიროვნებისათვის ჩამორთმეული. ამას იმიტომ გასწავლით, მეორედ რომ აღარ შეგეშალოთ. რა ვიცით, ეგებ სულ მოკლე ხანში კვლავ მოგიწიოთ ამ იურიდიულ ტერმინთან შეხვედრამ, ცოტა თქვენთვის უჩვეულო გარემოებაშიც.

ბატონო შტატგარეშე კორესპონდენტო! ყოველ შემთხვევისათვის ერთ რჩევას მოგცემთ. თუ ჩემს წერილზე რაიმე მინაწერის მიკერების სურვილი გაგიჩნდებათ, ნუღარ დაუშვებთ ამდენ შეცდომას. ჯერ ერთი, რას იტყვიან ჭიათურელი შტატიანი ჟურნალისტები, რომლებიც თქვენს წერილში ყოვლად უსახო პრესის წარმომადგენლებად „მონათლეთ". მეორეც, გეტყობათ კარგად არ იცნობთ თქვენს მიერ დასახელებული ჟურნალისტების ბასრ კალამს, თორემ ამდენის უფლებას თავს შტატგარეშე კორესპონდენტი ნამდვილად ვერ მისცემდით.

ძალიან გთხოვთ მეტს ნუღარ მომცემთ დამატებით მასალას თქვენს წინააღმდეგ. ასეთი მასალა უკვე საკმაოდ მომეპოვება, რათა პასუხი გაგებინოთ. დაბოლოს, თქვენ ამდენი ცილისწამებისა და უზუსტობის ავტორს, მინდა კაცურად გკითხოთ: რატომ იგდებთ თავს ასეთ დღეში? თუ მართლა გგონიათ, რომ სიმართლეს ემსახურებით, სინამდვილეში კი ვინმეს ხელში ბრმა იარაღად ხართ გამოყენებული, მაშინ მე თქვენ გულწრფელად მებრალებით და თუ ამას მხოლოდ თქვენთვის არასასურველი პიროვნების ყველა საშუალებით ჩაქოლვისათვის აკეთებთ, რისთვისაც პრესას იყენებთ ბოროტად, მაშინ პასუხს აგებთ კანონისა და ღმერთის წინაშე.

პატივისცემით

**ნ. აბჟანდაძე**

ქალაქ ჭიათურის პრეფექტი

## გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" რედაქციას

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ბ-ნ ლევან ურუშაძის სტატია „სამართლიანობის აღდგენისათვის ანუ რა ხდება ჭიათურაში", სადაც მითითებულია, რომ იგი გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუროს თანხმობით".

ამასთან დაკავშირებით უნდა მოგახსენოთ, რომ გამოქვეყნებამდე ლევან ურუშაძემ სტატია მომიტანა მასში მოყვანილი ფაქტების მხოლოდ და მხოლოდ იმ ნაწილის შესათანხმებლად, რომელიც უშუალოდ ეხებოდა ჩემი 5-6 სექტემბრის შეხვედრებს ქ. ჭიათურის ზონის მცხოვრებლებთან, რაც ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობაა. სტატიაში მოყვანილი გარკვეული მომენტების დაზუსტების შემდეგ მე თანხმობა განვუცხადე მას. აქედან გამომდინარე ჩემი თანხმობაა სტატიის იმ ნაწილზე, რომელიც მე მეხებოდა, არანაირად არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ადგილობრივი მმართველობის (და არა თვითმმართველობის) ბიუროს თანხმობად.

რაც შეეხება სტატიაში მოყვანილი იმ ფაქტების სიზუსტეს, რაც ჩემს კომპეტენციაში არ შედის, დაადგენენ შესაბამისი ორგანოები.

გთხოვთ ეს წერილი გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე.

პატივისცემით

**ალექსანდრე შალამბერიძე,**

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს იმერეთის რეგიონის კურატორი.**

# პასუხი ჭიათურელ და თბილისელ ოპონენტებს

**ჩვენი** გაზეთის ა. წ. 18 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „სამართლიანობის აღდგენისათვის ანუ რა ხდება ჭიათურაში", რომელსაც ფრიად აღუშფოთებია ჭიათურის პრეფექტი ბ-ნი ნ. აბჟანდაძე. მას არც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს იმერეთის ზონის კურატორი ბ-ნი ალ. შალამბერიძე ჩამორჩა. პასუხად გვსურს შემდეგი განვუცხადოთ პატივცემულ „აღშფოთებულ" ოპონენტებს.

თურმე ბ-ნ ნოდარს ცილი დავწამე, როდესაც აღვნიშნე, რომ იგი კორუმპირებულ ელემენტებს მფარველობს. თურმე სხვაგვარნი ყოფილან ბატონები ი. ლაბაძე, ვ. უგულავა, რ. მასხარაშვილი და სხვა „ძმანი მათნი". ფაქტები? რამდენიც გნებავთ. საინტერესოა, ვისი „ფრთის" ქვეშ იჩეხება საქართველოს „წითელ წიგნში" შეტანილი ხის უნიკალური ჯიშები, ვინ გაანიავა საკმაო რაოდენობით აგრომრეწვის ზონალური გაერთიანებისა და ამჟამად არსებული სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის კუთვნილი „კოლხოზნიკები", ვინ გაყიდა კერძო პირებზე გასული წლის დამლევს ტაქსომოტორებად განკუთვნილი „გაზ-24" მარკის ავტომობილები და ვის გამოეცხადა ამისათვის სასტიკი საყვედური?! გავაგრძელოთ? ვგონებ, კმარა.

ასევე აღუშფოთებია პრეფექტი ჩვენს „ცილისწამებას" 3560 ტონა ბრინჯთან დაკავშირებით. კვლავ გვსურს კითხვით მივმართოთ ბატონ ნოდარს: ხომ ვერ გვეტყვით, ყველაფერთან ერთად, რამ გამოიწვია მოსახლეობის ამბოხი და გაფიცვები! შეუძლია კი ბატონ პრეფექტს დაგვისახელოს მაგალი-

(დასასრული მე-7 გვ.)



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ამა წლის 30 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის, პროფ. ო. ლორთქიფანიძის წერილი დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის (რომელშიაც მონაწილეობდნენ გერმანელი არქეოლოგებიც) მიერ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ქვის ხანის უადრესი ეტაპის — ქვედა პალეოლითური ადგილსამყოფელისა და ამავე ხანის ნამარხი ფაუნისა და ადამიანის ქვედა ყბის ძვლის აღმოჩენის შესახებ. წერილში აღნიშნული იყო, რომ ეს უძველესი ძეგლი „ერთი მილიონი წლისაა და შეიძლება უხნესიც" და, რომ დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელი არის ევრაზიის მასშტაბით უყველაზე ძველი ძეგლი.**

**გუშინ, დღის ბოლოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა-მდივანმა და პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკად. ლ. გაბუნიამ და ჩვენი ექსპედიციის წევრმა, პროფ. ა. ვეკუამ მიიღეს დეპეშები გერმანიიდან, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრის, ქ. მაინცის რომაულ-გერმანული მუზეუმის პალეოლითის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. გერჰარდ ბოსინსკისაგან იმის შესახებ, რომ როგორც დმანისიდან წაღებულმა ვულკანური ლავის ნაკადიდან ამოღებულმა ნიმუშების პალეომაგნიტურმა გამოკვლევამ და მათი მონაცემების რადიოლოგიურმა დათარიღებამ დაადგინა დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელი და, მაშასადამე, არქეოლოგიური, პალეოანტროპოლოგიური და პალეონტოლოგიური მონაპოვარი თარიღდება არა ერთი მილიონი წლით, არამედ 1.800.000 წლით.**

**ამგვარად, დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელი უძველესი ძეგლია მსოფლიო მასშტაბითაც. იგი მსოფლიოში დღემდე ცნობილი უძველესი არქეოლოგიური, ანტროპოლოგიური და პალეონტოლოგიური ძეგლის — ოლდოვაის ძეგლზე (აფრიკა, ტანზანია) უძველესი თუ არა, მისი თანაბარი ასაკისა მაინც არის.**

**როცა პროფ. ო. ლორთქიფანიძე წერდა თავის წერილს და როცა გაზეთი მას აქვეყნებდა, ეს ახალი, განსაკუთრებით სენსაციური ცნობა მათთვის არ იყო ცნობილი ისევე, როგორც ამ წერილის ავტორის ვ. ჯაფარიძისათვისაც, რომლის წერილი რედაქციაში იდო.**

**რედაქციამ ვ. ჯაფარიძის წერილში შეიტანა შესწორებები ძეგლის დათარიღების საკითხში ზემოხსენებული მონაცემის შესაბამისად. სხვაფრივ მისი წერილი იბეჭდება უცვლელად.**

# მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური აღმოჩენა

**ამ** წერილის სათაური მავალებს ამთავითვე განვუმარტო მკითხველს რა აღმოჩენა იგულისხმება ასეთი სათაურის ქვეშ, ხოლო შემდეგ სათანადო კომენტარიც დავურთო ასეთ სენსაციურ ცნობას.

მიმდინარე წლის 24 სექტემბერს დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელთანაც წელს თანამშრომლობდნენ გერმანელი არქეოლოგები, შუა საუკუნეების ნაქალაქარის-დმანისის ტერიტორიაზე აღმოაჩინა 1.800.000 წლის წინ არსებული ადამიანის ქვედა ყბის ძვალი; მასთან ერთად, იმავე ფენაში და იმავე დონეზე აღმოჩნდა სხვადასხვა ნამარხი ცხოველების ძვლებიც, მათ შორის ე. წ. ხმალკბილა ვეფხვების ორი თავის ქალა, ერთი მათგანი — ქვედა ყბითურთ.

რაც მოგახსენეთ — ფაქტია, მაგრამ არა მგონია ამ ცნობამ დააკმაყოფილოს მკითხველის ცნობისმოყვარეობა; ადამიანს უნებურად დაებადება კითხვა — სად შუა საუკუნეების ნაქალაქარი და სად 1.800.000 წლით ჩვენგან დაშორებული ადამიანის ნაშთი? ესეც არ იყოს, როგორ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ექსპედიციის მიერ დმანისში აღმოჩენილი ადამიანის ქვედა ყბის ძვალი 1.800.000 წელზე უხნესია? სხვა კითხვებიც იბადება, მაგრამ ახლა ნება მომეცით ზოგიერთი რამ მოგახსენოთ დმანისზე, დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციის მუშაობაზე და, რა თქმა უნდა, ზემოხსენებულ აღმოჩენაზეც.

დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ დმანისი იყო შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მდიდარი ციხე-ქალაქი, რომელიც მდებარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობის გზაზე და წარმოადგენდა ვაჭრობისა და ხელოსნობის ერთ-ერთ კერას. იგი გაშენებულა ვულკანური წარმოშობის ქარაფოვან კონცხზე ორი მდინარის — მაშავერასა და ფინეზაურს შორის. კონცხის ფართობი 13 ჰექტარს შეადგენს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქალაქს სამხრეთით თავისი გარეუბნები ჰქონდა, მაშინ დმანისის საერთო ფართობი 30 ჰექტარს აღწევდა. საკუთრივ ციხე-ქალაქი დმანისი ბუნებრივ, მიუდგომელ სიმაგრეს წარმოადგენდა, რადგან კონცხის ნაპირები მდინარის ნაპირებიდან ყე მეტრის სიმაღლეზე იყო აზიდული. ერთადერთი მისადგომი ქალაქს სამხრეთიდან ჰქონია და ამიტომ ამ მხრიდან იგი საგანგებოდ ყოფილა გალავნითა და ბურჯებით გამაგრებული.

თუმცა კონცხი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, მაგრამ დმანისი თავიდანვე ქალაქს როდი წარმოადგენდა; როგორც წერილობითი და აგრეთვე არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, დმანისი ქალაქად ქცეულა IX საუკუნეში და როგორც ქალაქს მას უარსებია XV საუკუნემდე, ხოლო შემდგომ, გარკვეული ისტორიული მოვლენების ზემოქმედების შედეგად, ჯერ დაქვეითებულა, შემდეგ სოფლად გადაქცეულა და ბოლოს, XVIII საუკ. პირველი ნახევრის დასასრულს, საერთოდ არსებობა შეუწყვეტია, ერთ დროს აყვავებული და მდიდარი ქალაქი ნაქალაქარად ქცეულა.

თუ თვალს გადავავლებთ ნაქალაქარ დმანისს და მის გარეუბნებს, მის მდიდარ წარსულზე მეტყველებენ ნაქალაქარის სამხრეთ მონაკვეთში განლაგებული საკულტო ნაგებობების ანსამბლი — VII საუკ. ბაზილიკა — დმანისის სიონი თავისი ფრესკებით, მისი XIII საუკუნის დასავლეთის კარიბჭე შემკული შესანიშნავი, დახვეწილი ჩუქურთმებით და ასომთავრული, ვრცელი წარწერებით; იქვეა შუა საუკუნეების ერთნავიანი დარბაზული ეკლესია და სამრეკლო; შიდაციხე თავისი ნაგებობების ნაშთებით, სასახლის ნანგრევებით და ციხის აბანოთი, ქალაქის გამაგრების სისტემით. ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში ერთნავიანი დარბაზული ორი ეკლესია თავისი სამაროვნებით; მდ. მაშავრის ხეობაში, კონცხის გაყოლებაზე აშენებული საიდუმლო დიდი გვირაბი; ნაქალაქარის ტერიტორია მოფენილია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მრავალრიცხოვანი ნაშთებით. მეტად მნიშვნელოვანია გარეუბნის მრავალიარუსიანი დიდი სამაროვანი პატარა საგვარეულო ეკლესიებითა და მაჰმადიანური მავზოლეუმებით, მრავალრიცხოვანი საფლავის ქვებითა და ქართული, სომხური და არაბული წარწერებით. ყურადღებას იპყრობს გარეუბნის სამი აბანოს ნანგრევები და სხვა. ერთი სიტყვით, ამ გარეგნული ნიშნებით დმანისი წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოს ტიპიურ ციხე-ქალაქს. დღეს ნაქალაქარის მთელი ტერიტორია სავსებით დაუსახლებელია და არქეოლოგიური შესწავლის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

ნაქალაქარის გათხრა, როგორც ცნობილია, დაიწყო 1936 წელს აკად. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, გაგრძელდა 1937 წელს (ექსპედ. ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი) და შემდეგ დიდი ხნით შეწყდა, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ივანე მაშინ წერდა — გათხრის შედეგებმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბაო.

დმანისის გათხრა განახლდა 22 წლის შემდეგ და დღემდე გრძელდება. აქ მუშაობს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციის მიზანს შეადგენს შუა საუკუნეების დმანისისა და მისი შემოგარენის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, ნაქალაქარ დმანისის ტერიტორია გაცილებით ადრე ყოფილა დასახლებული, რისი კვალიც — ნივთიერი კულტურის ნაშთები, მიწის წიაღს ე. წ. „კულტურული ფენების" სახით დღემდე შემოუნახავს.

დმანისის ექსპედიციის მიერ ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილია მნიშვნელოვანი ნაწილი საკულტო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა, სახელოსნოების ნაშთები, შიდაციხე და მისი ნაგებობები, მათ შორის ციხის აბანო; დმანისის სიონის ინტერიერი და მისი სამარხები; გარეუბნის დიდი სამაროვნის სამარხების მნიშვნელოვანი ნაწილი, ქრისტიანული და მაჰმადიანური საგვარეულო ეკლესიები და მავზოლეუმები, გარეუბნის სამი აბანო. დმანისის მიდამოების რიგი ძეგლები: მდ. დამბლუტისწყლის ხეობაში V საუკ. ორი ეკლესია, აღმოჩენილია V საუკ. ხანმეტი წარწერები, ქვის სტელები; მდ. ფინეზაურის ხეობაში ე. წ. საყდრისქედის ეკლესია, აღმოჩენილია მისი კანკელი. XIII ს. სტელა ვრცელი ასომთავრული წარწერით, აგრეთვე სხვა წარწერები; მდ. კაზრეთულას ხეობაში ბუჩურაშენის ეკლესია (რომელიც ახლა წალეკილია მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიერ) და იქვე V-VI ს.ს. სტელები. სტელის ბაზისი V საუკ. ბერძნული წარწერით და სხვ. მოპოვებულია ქართული, ბიზანტიური და აღმოსავლური მონეტები (2.500 ცალზე მეტი), მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა, აგრეთვე ფაიანსი ჭურჭლის ფრაგმენტები, დიდი რაოდენობით იმპორტული აღმოსავლური ფაიანსის ნიმუშები, ჩინური სელადონი; მინის ჭურჭლისა და სამაჯურების მდიდარი კოლექცია; ძვლის, რქისა და ლითონის ნივთები, ვერცხლისა და ოქროს სამკაულების განძი, სხვადასხვა საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები, სხვადასხვა ქვებისაგან დამზადებული მძივები და სხვ..

დაწერილია და გამოქვეყნებულია ექსპედიციის ანგარიშები, კრებულები, სტატიები, მონოგრაფიები და სხვა.

მაგრამ ნაქალაქარი, როგორც აღინიშნა, მასშტაბური ძეგლია და მისი უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ გაუთხრელია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მოსალოდნელია ახალი მნიშვნელოვანი ძეგლებისა და მასალების აღმოჩენა.

იმის გამო, რომ ნაქალაქარის მთლიანად გათხრა და შესწავლა ხანგრძლივი დროის საქმეა, თავიდანვე გადავწყვიტეთ ამ ეტაპზე გაგვეთხარა და შეგვესწავლა ნაქალაქარის ერთი ნაწილი, ერთი კვარტალი, რაც გაგვიადვილებდა რიგი პრობლემების გარკვევას და შემდგომ მუშაობაში გზას გაგვიკაფავდა.

ამ მიზნით ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც III უბანი ვუწოდეთ, დავიწყეთ ზემოხსენებული კვარტალის გათხრა მეთოდურად და მიჯრით. ამ უბანზე გათხრებს ვხელმძღვანელობ 1962 წლიდან დღემდე.

მიუხედავად იმისა, რომ ორი ათეული წლის მანძილზე ექსპედიციას წელიწადში ველზე მუშაობის მხოლოდ ერთი თვის საშუალება ჰქონდა, წლების განმავლობაში ჩატარებულმა გულმოდგინე შრომამ მაინც ძალიან საინტერესო სურათი წარმოაჩინა; გათხრის პროცესში შუა საუკუნეების 2,5-3 და მეტი სიმძლავრის კულტურული ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა პირველი მონაკვეთი გარეგნული ნიშნებით სრულიად განსხვავებული ფენისა, რომელიც, ერთი შეხედვით, უძრავ ნიადაგს წააგავდა.

ამ ფენაზე აშენებული ერთ-ერთი შენობის ნანგრევების გათხრის პროცესში, შენობის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა დიდი ორმო 3,5 მეტრი სიღრმისა, ჩაჭრილი შუა საუკუნეების მცხოვრებთა მიერ ამ ქვედა ფენაში, ხოლო ორმოში აღმოჩნდა სპილოს ფეხის ძვლის ნატეხი. ეს იყო საყურადღებო ფაქტი, მაგრამ მაშინ ერთადერთი ფაქტი და ამიტომ რაიმე დასკვნის გამოტანა ნაადრევი იყო. ეს მოხდა 1966 წელს.

შემდეგ, წლების განმავლობაში განხორციელებულმა არქეოლოგიურმა მუშაობამ კვლავ აღმოაჩინა ქვედა ფენაში ჩაჭრილი ორმოები როგორც შენობების ნანგრევებს შიგნით, ისე შენობათა კედლების დაშორებით. მუშაობის პროცესში სრულიად ნათლად გაირკვა, რომ ეს იყო სამეურნეო ორმოები ჩაჭრილი ქვედა, უძველეს ფენაში შუა საუკუნეების მცხოვრებთა მიერ. სამწუხაროდ, ამ ორმოებში არ აღმოჩენილა მარცვლეულის რაიმე ნაშთი, სამაგიეროდ ორმოების ერთ ნაწილში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მათი კედლების ჭრილებში ცხოველთა ძვლების არსებობამ. ისიც სრულიად ნათლად გაირკვა, რომ ეს ძვლები არ იყო შინაური საქონლის ძვლები და არც შუა საუკუნეების გარეული ცხოველებისა. ეს იყო ქვის ხანის ფაუნის ნაშთები, ნამარხი ცხოველების ძვლები, რაც მიგვითითებდა როგორც ფაუნისტური მასალის, ისე იმ ფენის დიდ სიძველეზე, რომელშიაც ეს ძვლები ჩანდა. ამის დასტურად სპილოს ფეხის ძვლის ნატეხის აღმოჩენაც კი კმაროდა.

ორმოების ჭრილებში გამოჩენილ ძვლებს ჩვენ ხელს არ ვკიდებდით და ჭრილებიდან არ ვიღებდით, მაგრამ იყო ცალკეული შემთხვევები, როცა თითო-ოროლა ძვლის ფრაგმენტი ეგდო ორმოში. ასეთი ვითარების გამო, ჩვენ მაშინ დავუკავშირდით პალეობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, პალეონტოლოგ აბესალომ ვეკუას, რომელსაც ასეთ შემთხვევით ძვლებს ვუჩვენებდით განსაზღვრისათვის.

თანმიმდევრული და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, 1983 წლისათვის უკვე გაშიშვლებული გვქონდა უძველესი ფენის დაახ. 1.500-2.000 კვ. მეტრი. III უბანზე, ამ ფენაში ჩაჭრილი იყო მთელი რიგი სამეურნეო ორმოებისა, რომელთა ჭრილებშიც კარგად ჩანდა ნამარხი ცხოველების ძვლები, მათ შორის აღსანიშნავია ამავე უბანზე გამოვლენილი ერთი დიდი მიწისქვეშა საიდუმლო ნაგებობა — დარანი (ზომ. დიამეტრი — 3,2 მეტ. სიმაღლე — 2,1 მეტ.), რომლის ჭრილშიც მთელ სიმაღლეზე მრავლად ჩანდა ნამარხი ცხოველების ძვლები.



ნაქალაქარი დმანისი, ადამიანის ქვედა ყბის ძვალი. ნამარხი ცხოველების ძვლებს შორის გათხრების პროცესში.

ასეთი ვითარების შემდეგ საჭირო იყო იმის გარკვევა, რომ ეს უძველესი ფენა თავისი ნამარხი ფაუნის ნაშთებით წარმოადგენდა პალეონტოლოგიურ ძეგლს (ასეთი პალეონტოლოგიური ძეგლები ცნობილია როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე). ამავე ფენაში მოიპოვებოდა ქვის ხანის ადამიანის კულტურის ნაშთებიც, სახელდობრ, ქვის იარაღები. ამის დადგენა შეიძლებოდა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრის საშუალებით.

ამ მიზნით, ჩემი ინიციატივით, გადავწყვიტეთ ჩაგვეჭრა განსაზღვრული ზომის საცდელი თხრილი იმ ორმოსთან, რომელშიც პირველად აღმოჩნდა სპილოს ძვლის ფეხის ფრაგმენტი, იმ პირობით, რომ თუ ჩვენი ვარაუდი გამართლდებოდა და როგორც კი ამ თხრილში გამოჩნდებოდა ნამარხი ცხოველების ძვლები და პალეოლითის ადამიანის ქვის იარაღები, შევაჩერებდით შემდგომ გათხრას და ოფიციალურად ვაცნობებდით ვითარებას სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებს.

გათხრის დაწყებიდან არ გასულა დიდი ხანი და ჩვენი ვარაუდი გამართლდა, 0.3-0,35 მ. სიღრმეზე საცდელ თხრილში გამოჩნდა არა მარტო ნამარხი ცხოველების ძვლები, არამედ ქვის რამდენიმე პალეოლითური იარაღი და ანატკეცები — აშკარა კვალი პირველყოფილი ადამიანის კულტურისა. სრულიად ცხადი იყო, რომ საქმე გვქონდა არქეოლოგიურ ძეგლთან, რომლის შემდგომი შესწავლა უნდა განხორციელებულიყო ქვის ხანის შემსწავლელი სპეციალისტების მიერ არქეოლოგიური მეცნიერების მეთოდებისა და პრინციპების საფუძველზე.

ამის შემდეგ შევაჩერეთ საცდელი თხრილის შემდგომი გათხრა და არსებული ვითარების შესახებ დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი წარვუდგინეთ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ კომისიას, ვაცნობეთ აგრეთვე არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, ჩვენს სპეციალისტებს და მოვიწვიეთ ადგილზე ვითარების გასაცნობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საწყისი ეტაპისათვის არქეოლოგიური სურათი მეტად შთამბეჭდავი იყო.

ექსპედიციას დაუყოვნებლივ ესტუმრნენ 1983 წ. ზაფხულში არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, აკად. ა. აფაქიძე. წევრები პროფესორები ო. ჯაფარიძე, თ. მიქელაძე, მეცნ. კანდ. დ. თუშაბრამიშვილი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკად. ლ. გაბუნია. კომისია ადგილზე გაეცნო ამ უნიკალურ არქეოლოგიურ მასშტაბურ ძეგლს — მეოთხეულის პერიოდის ადრეული ეტაპის — ქვედა პლეისტოცენურ დანალექ ფენაში ჩაჭრილ დიდ ორმოებს, დარანს, საცდელ თხრილს და ორმოების ჭრილებში აღმოჩენილ ნამარხი ფაუნის მრავალრიცხოვან ნაშთებს და, რა თქმა უნდა, ქვედა პალეოლითურ ადამიანის ქვის იარაღებსა და ანატკეცებს. კომისიამ დაადასტურა არქეოლოგიური ძეგლის თარიღი, აღნიშნა მისი დიდი მეცნიერული მნიშვნელობა და აუცილებლად მიიჩნია მისი შემდგომი შესწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის შემსწავლელი განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა მონაწილეობით. კომისიამ გაიზიარა აგრეთვე დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პოზიცია ძეგლის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

დმანისის ქვედა პალეოლითურ ადგილსამყოფელს ადგილზე გაეცნენ არქეოლოგები: აწ. განსვენებული ნ. ბერძენიშვილი, მ. გაბუნია, თ. მეშველიანი, ზ. ქიქოძე და სხვანი.

ამის შემდეგ, სულ მალე ექსპედიციამ მოიწვია სამუშაოდ გეოლოგი გ. მაისურაძე, პალეონტოლოგი, პროფ. ა. ვეკუა, პალინოლოგი ნ. კლაპოტოვსკაია, გეოფიზიკოსები, უფრ. მეცნ. თანამშრომლები ქ. სოლოღაშვილი და ე. ფავლენიშვილი. ამასთან ერთად დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გასათხრელ ობიექტებთან მიიყვანა ტოპოგრაფიული საყრდენი წერტილები, რომელთაც „მივაბით" ჩვენი შენობები და ორმოები, დავყავით გასათხრელი ფართობი მეტრიან კვადრატებად და ამგვარად ყველაფერი მომზადდა უძველესი კულტურული ფენის გათხრის დაწყებისათვის.

უძველესი ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელის გათხრა დაიწყო 1983 წელს, რომელსაც აწარმოებდნენ 1987 წლამდე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის შემსწავლელი სექტორის მეცნ. თანამშრომელი თ. ბუგიანაშვილი, ხოლო 1987 წლიდან 1990 წლამდე ნ. მგელაძე. გათხრაში სპორადულად მონაწილეობას ღებულობდა პროფ. ა. ვეკუა როგორც პალეონტოლოგი. მიუხედავად იმისა, რომ ამ უძველესი ძეგლის შესწავლაზე ერთი თანამშრომელი მუშაობდა, გათხრამ 1983 წლიდან 1990 წლამდე მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა; გამოირკვა, რომ უძველესი კულტურული ფენა იდო ვულკანური წარმოშობის ლავურ ქანებზე (ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი იყო), გათხრების პროცესში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ნამარხი ცხოველების ძვლები, რომელთა შორის არც თუ იშვიათად გვხვდებოდა ზოგიერთი ცხოველის ძვლები შესახსრებულ მდგომარეობაში. მაგ. პირველყოფილი ცხენის ფეხის ძვლები, ირმის ფეხის ძვლები, დათვის ქალა ქვედა ყბითურთ; მგლის თავის ქალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცხოველების ნაშთები შორიდან არ იყო შემოტანილი დანალექ უძველეს ფენაში. კულტურულ ფენაში ცხოველების ძვლებთან ერთად გვხვდებოდა ქვედა პალეოლითის ადამიანის ქვის იარაღები და ანატკეცები პრიმიტიულად, უხეშად დამუშავებული და მათი განსაკუთრებული სიძველე ეჭვს არ იწვევდა. ქართველი არქეოლოგების ერთი ნაწილი ქვედა პალეოლითურ ადგილსამყოფელს, პირველი მონაცემების საფუძველზე, 800.000 წლით ათარიღებდა, ხოლო სხვანი შესაძლებლად მიიჩნევდნენ მის დათარიღებას მილიონი წლით მრავალრიცხოვანი ანალოგიების საფუძველზე. ასევე, პალეონტოლოგი, პროფ. ა. ვეკუა ნამარხი ცხოველების ნაშთების შესწავლის საფუძველზე, როგორც დმანისის ნამარხ ფაუნას, ისე თვით ქვედა პალეოლითურ ადგილსამყოფელს, 1 მილიონი წლით ათარიღებს.

დმანისის ნამარხი ფაუნის ნაშთების შესწავლის შედეგად აკად. ლ. გაბუნიას და ა. ვეკუას განსაზღვრული აქვთ შემდეგი ცხოველები: სამხრეთის სპილო, ეტრუსკული მარტორქა, ეტრუსკული დათვი, აფთარი, ჯიქი, პირველყოფილი ცხენი, პირველყოფილი ძროხა, ირემი, ირემლაღი, პანტერა, სირაქლემა და სხვა. ა. ვეკუა დმანისის ფაუნას მრავალრიცხოვანი ანალოგიების საფუძველზე, ქვედა პლეისტოცენით ათარიღებს. რაც შეეხება გეოლოგებისა და გეოფიზიკოსების მუშაობის შედეგებს, მათ სპეციალურად შეისწავლეს დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიისა და მისი შემოგარენის გეომორფოლოგია, გეოლოგია და ახალგაზრდა ვულკანიტების მაგნიტოგრაფია. გამოირკვა, რომ ნაქალაქარის ტერიტორიაზე მეოთხეულის პერიოდის ადრეულ საფეხურზე გაჩენილა ტბა, რომელშიც წყლის ნაკადებს ასეული საუკუნეების განმავლობაში შემოჰქონდა ვულკანური ქვიშა, ქვიშიანი თიხები, ლავების ნატეხები, რიყის ქვები და, რასაკვირველია, დაღუპული ცხოველების ნაწილები, მათი ძვლები, პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღები. ამის შედეგად შეიქმნა 3-4 მეტრი სიმძლავრის დანალექი ფენა. სპეციალისტებმა გააკეთეს ამ ფენის გეოლოგიური ჭრილები XI შენობის დას. კედლისა და დარანის აღმ. კედლისა. თორმეტი ვულკანური ნაკადიდან აღებული 21 შტუფიდან გამოიჭრა 63 ლაბორატორიული ნიმუში და ჩატარდა მათი პალეომაგნიტური გამოკვლევა და პალეომაგნიტური მონაცემებით რადიოლოგიური დათარიღება, რაც იძლევა საფუძველს ვულკანური ლავების ნაკადი დათარიღდეს 730-750 ათასი წლით.

ამგვარად, ძეგლის შესწავლის ამ ეტაპზე დათარიღების საკითხში შეიმჩნევა განსხვავება გეოფიზიკოსების მონაცემებსა და არქეოლოგების და პალეონტოლოგების მონაცემებს შორის. ძეგლის შემდგომი შესწავლა, იმედია, მის თარიღს დააზუსტებს. ამის საფუძველია ზემოხსენებულ უძველეს ფენაში „დაკონსერვებული" უმდიდრესი მასალის შემდგომი შესწავლა.

იმის გამო, რომ დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელის შესწავლა მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად, რაც არ შეეფერებოდა ძეგლის მნიშვნელობასა და მასშტაბს, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია ცდილობდა გაემახვილებინა სპეციალისტების ყურადღება ამ ძეგლისადმი, რათა სათანადო დონეზე დაეყენებინა შემდგომი მუშაობა. ამისათვის იკითხებოდა მოხსენებები ძეგლის მნიშვნელობის შესახებ როგორც საანგარიშო სამეცნიერო სესიებზე, ისე სპეციალურ თემატურ სესიებზე. მოეწყო სპეციალური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლას. კონფერენციაზე მოისმინეს არქეოლოგების, პალეონტოლოგების, გეოლოგებისა და გეოფიზიკოსების მოხსენებები დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელის შესწავლის შესახებ. გამოქვეყნდა მოხსენებათა თეზისები (1988 წ.), იბეჭდებოდა წერილები პერიოდულ სამეცნიერო კრებულებში. ამ მიმართულებით აქტიურად მოღვაწეობდნენ აკად. ლ. გაბუნია და პროფ. ა. ვეკუა. მომზადდა გამოსაცემად სპეციალური კრებული, მიძღვნილი დმანისის არქეოლოგიური შესწავლის შედეგებისადმი და სხვა. ამგვარად, 1990 წლისათვის ქართველი სპეციალისტების — არქეოლოგების, გეოლოგების, გეოფიზიკოსების, პალეონტოლოგების მიერ გარკვეული იყო ძეგლისა და მისი მიდამოების გეოლოგია და მაგნიტოსტრატიგრაფია, დანალექი ფენის თარიღი და სტრატიგრაფია, მთელი რიგი ნამარხი ცხოველების რაგვარობა და ასაკი, მათი ანალოგიები გლობალური მასშტაბით, ქვედა პალეოლითური ქვის იარაღების ხასიათი და ასაკი, ვულკანური ქანების ასაკი, დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელის მასშტაბი და სხვა. მაგრამ ისიც იყო შესამჩნევი, რომ ძეგლის გათხრა დიდი დაყოვნებით მიმდინარეობდა.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერი თანამშრომლების სამეცნიერო კონტაქტების შედეგად, დმანისის ძეგლით დაინტერესდნენ გერმანელი სპეციალისტები; 1990 წ. დმანისში გვესტუმრა ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი მეცნიერი, პროფ. გერჰარდ ბოსინსკი, რომელიც ადგილზე გაეცნო ძეგლს, ხოლო შემდგომ განყოფილებასა და ლაბორატორიაში განათხარ მასალას — ქვის იარაღებსა და ნამარხი ფაუნის ნაშთებს. ამის შემდეგ გერმანიის ინსტიტუტმა არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შესთავაზა წინადადება დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში გერმანელი სპეციალისტების თანამშრომლობის შესახებ. ცენტრის დირექციამ და დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიზანშეწონილად მიიჩნია გერმანელ არქეოლოგებთან თანამშრომლობა და თავისი თანხმობა აცნობა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ გერმანელი არქეოლოგები ჩამოვიდოდნენ 1991 წლის ივლისის ბოლოს და მიიღებდნენ მონაწილეობას დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელის გათხრაში პირველი აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე.

ასეთი ერთობლივი თანამშრომლობისათვის გარკვეული სამზადისი ჭირდებოდა დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციას, საზრუნავი ბევრი იყო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ექსპედიციის პალეოლითური რაზმის დაკომპლექტება კვალიფიციური ქართველი არქეოლოგებით, რომლებიც გერმანელ არქეოლოგებთან ითანამშრომლებდნენ ჯეროვან დონეზე. ამას გარდა, რადგან ძეგლი კომპლექსურ შესწავლას მოითხოვდა, მუშაობაში ჩართული უნდა ყოფილიყვნენ ქართველი გეოლოგები, პალეონტოლოგები, პალინოლოგები და აგრეთვე სამეცნიერო-დამხმარე კვალიფიციური პერსონალი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ისეთი სპეციალისტების მონაწილეობას, როგორიც არიან ტოპოგრაფი, ფოტოგრაფები, არქიტექტორები და სხვ.

რადგან მომავალი თანამშრომლობა გულისხმობდა მუშაობის მასშტაბის გაფართოებას, საჭირო იყო ექსპედიციის დაფინანსების გაზრდა; სამწუხაროდ ექსპედიციას უარი ეთქვა ამ თხოვნაზე და რომ ეს მნიშვნელოვანი მეცნიერული კონტაქტები და თანამშრომლობა არ ჩაშლილიყო, ექსპედიციამ მნიშვნელოვნად შეამცირა შუა საუკუნეების დმანისის გათხრის მასშტაბი, რათა დაზოგილი თანხა ქვედა პალეოლითური ძეგლის გათხრას მოხმარებოდა და მუშაობა ამ მიმართულებით არ დაბრკოლებულიყო.

გათხრის დაწყების წინ ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელის შემსწავლელი რაზმი დაკომპლექტებული იყო შემდეგნაირად: რაზმის ხელმძღვანელები: არქეოლოგიური კვლევის ცენტრის პალეოლითის სექტორის გამგე, ისტ. მეცნ. კანდ. მ. ნიორაძე და ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის პალეოლითის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გერჰარდ ბოსინსკი; წევრები: პალეოლითის ცნობილი სპეციალისტი, კონსულტანტი დ. თუშაბრამიშვილი, მეცნ. თანამშრომლები: ნ. თუშაბრამიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ლ. ქორქია, გერმანიის ზემოხსენებული ინსტიტუტის მეცნ. თანამშ. ანტია იუსტუსი, პალეონტოლოგი, პროფ. ა. ვეკუა, გეოლოგი, პროფ. მ. თვალჭრელიძე, ლაბორანტები, ა. მელივა და დ. ნიორაძე; თბილისის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტები ლ. დადიანი, გ. კილაძე, თ. შელია, დ. ქვანია; ტოპოგრაფი ვ. მასხარაშვილი, ფოტოგრაფები ე. გროდსკი და გ. გიორგობიანი.

რა თქმა უნდა, გრძელდებოდა შუა საუკუნეების დმანისის გათხრა, მაგრამ მხოლოდ ორ უბანზე — ნაქალაქარის ერთი კვარტალის გათხრა III უბანზე და შიდაციხის გათხრა IV უბანზე.

დმანისის ქვედა პალეოლითური ადგილსამყოფელის გათხრა ინტენსიურად წარიმართა. ყველა თანამშრომელი მუშაობდა მთელი დატვირთვით. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჩვენს მიერ წინა წლებში გამოვლენილ დიდ სამეურნეო ორმოებს, აგრეთვე ზემოთხსენებულ მიწისქვეშა საიდუმლო ნაგებობას — დარანს, რომელთა ჭრილებში მრავლად ჩანდა ნამარხი ცხოველების ძვლები. ასევე, იმუშავეს ე. წ. XI შენობის ინტერიერში ბოლომდე ჩაჭრილ დიდ თხრილში (ზომ. 21X7,5 მ.) და XI შენობის გარეთ, მისი ჩრდ. ფასადიდან ჩრდ. დას. სამი მეტრის დაშორებით წინა წლებში ჩაჭრილ თხრილში (ზომ. 3X2 მ.), რომელიც ბოლომდე არ იყო გათხრილი და რომელიც მათ 1 მ. გააფართოვეს აღმოსავლეთით (ზომ. 3X3 მ.) გაკეთდა ყველა თხრილის, დარანის და დიდი სამეურნეო ორმოების გვერდების სტრატიგრაფიული გრაფიკული ჭრილები მასშტაბში; გრაფიკულად შესრულებულ ჭრილებზე ზუსტად იყო დატანილი ადგილმდებარეობა და სიღრმე თითოეული ძვლის, ქვის იარაღის თუ ანატკეცის და უბრალო ქვებისაც კი, რომლებიც თვალნათლივ ჩანდა ფენაში. ასეთი ზუსტი ფიქსაციის შემდეგ ჭრილებიდან ხმოიღეს ყველა ძვალი, ქვის იარაღი, ანატკეცები. ამგვარად, მოკლე დროში, როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპედიციამ მიიღო მიწის წიაღიდან უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი, მდიდარი ინფორმაცია ისეთი ღრმა წარსულის ფაუნისა და ქვის ხანის ადამიანის იარაღების, მათი გამოყენებისა და დამზადების ტექნიკის შესახებ და სხვა, როგორიცაა მეოთხეულის ეპოქის საწყისი პერიოდი, ე. ი. იმ პერიოდის შესახებ, როდესაც ჩვენს პლანეტაზე პირველად ჩნდება გონიერი არსება — ადამიანი. 1991 წლის 21 სექტემბერს დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციას ველზე ესტუმრნენ და გათხრების მიმდინარეობას გაეცნენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ა. თავხელიძე, აკადემიკოსი-მდივანი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკად. ლ. გაბუნია, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რ. მეტრეველი, ხოლო 24 სექტემბერს მოხდა სრულიად უპრეცედენტო ამბავი: ქართულ-გერმანულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაქალაქარის III უბანზე, XI შენობის ჩრდ. დასავლეთით, უძველეს ფენაში ჩაჭრილ თხრილში, 2,1 მეტრ სიღრმეზე აღმოაჩინა ადამიანის ქვედა ყბის ძვალი სხვადასხვა ნამარხი ცხოველების ძვლებს შორის, ცხოველების, რომლებიც დიდი ხანია გადაშენებული არიან. ადამიანის ქვედა ყბის ძვლის აღმოჩენის პატივი წილად ხვდა გერმანელ ახალგაზრდა არქეოლოგს ქალბატონ ანტია იუსტუსს.

პროფ. გ. ბოსინსკის განცხადებით დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელი თავისი პალეოანტროპოლოგიური, პალეონტოლოგიური და ასე ვთქვათ, პალეოარქეოლოგიური მონაპოვარით, წარმოადგენს უძველეს არქეოლოგიურ ძეგლს ევრაზიის მასშტაბით.

ქართველ არქეოლოგებს (დ. თუშაბრამიშვილი, მ. ნიორაძე, ნ. მგელაძე), პალეონტოლოგ ა. ვეკუას, აგრეთვე გერმანელ არქეოლოგებს (გ. ბოსინსკი, ა. იუსტუსი) მიაჩნიათ, რომ დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელი ერთ მილიონ წელზე უხნესი ძეგლია. ამის საფუძველს იძლევა ადამიანის ქვის იარაღების, ნამარხი ცხოველების ძვლების შესწავლა, მათი შეჯერება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აღმოჩენილ, თითებზე ჩამოსათვლელ სინქრონულ ძეგლებთან, აგრეთვე ძეგლის სტრატიგრაფია.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს პლანეტაზე ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების პირველი გაჩენა მისი (ადამიანის) გამოჩენის კერები, მისი გავრცელების პრობლემები წარმოადგენენ გლობალურ მეცნიერულ პრობლემებს, შეიძლება ითქვას, რომ დმანისის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელის, ნამარხი ცხოველების ნაშთებისა და ამავე ხანის ქვის იარაღების, პირდაპირ, საგანძურის აღმოჩენა, განსაკუთრებით კი ქვედა პალეოლითის ადამიანის ნაშთების აღმოჩენას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამიერიდან დედამიწაზე ადამიანის გაჩენისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების პრობლემები ვერ გადაწყდება წარმატებით დმანისში აღმოჩენილი უმნიშვნელოვანესი მასალების გაუთვალისწინებლად. ეს უყველივე მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ ძეგლის შესწავლა მხოლოდ დაწყებულია, ახლო მომავალში მოსალოდნელია ახალი მდიდარი მასალების აღმოჩენა და, ფაქტების ლოგიკით, მოსალოდნელია ქვედა პალეოლითის ადამიანის სხვა ნაშთების აღმოჩენაც.



ნაქალაქარი დმანისი, 1991 წ. 24 სექტემბერს აღმოჩენილი ქვის ხანის ადამიანის ქვედა ყბის ძვალი აღმოჩენის პროცესში.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ქართველი და გერმანელი არქეოლოგების ერთობლივი მუშაობით დაიწყო ახალი ეტაპი დმანისის ქვედა პალეოლითური ადგილსამყოფელის შესწავლის საქმეში. ჩვენი ერთობლივი მუშაობის წარმატების საწინდარია ის კოლეგიალური ატმოსფერო, ურთიერთპატივისცემა, რომელიც მუშაობის პერიოდში თავიდან ბოლომდე სუფევდა ექსპედიციაში, მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომელიც ექსპედიციის მუშაობას თან ახლდა. ჩვენ ძალიან არ გვეპარება, რომ მომავალი კეთილი, შემოქმედებითი ერთობა ჩვენს გერმანელ კოლეგებთან კიდევ უფრო გაღრმავდება და უფრო ნაყოფიერი გახდება.

ამჯერად კი მათ შემოგვთავაზეს მოვამზადოთ დმანისისადმი მიძღვნილი ერთობლივი უხვად ილუსტრირებული ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდება გერმანიაში ქართულ და გერმანულ ენებზე და გამოვა მომავალი წლის დასაწყისში. მასში შევა პირველი ინფორმაცია ბრწყინვალე აღმოჩენის შესახებ.

**ვახტანგ ჯაფარიძე,**
**დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.**

ბიბლიოთეკა

# უჩემოდ ვით მღერით

**ოპოზიცია** — საპარლამენტო, ქუჩის, სამოქალაქო, ოპოზიცია — მრავალსახოვანი და მრავალდარგობრივი, ერთ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: დემოკრატია ყველგან და ყველაფერში!

დარღვეულია დემოკრატიული პრინციპები, სახელმწიფოში დიქტატურაა, თავისუფალი აზროვნებისთვის აპატიმრებს ჯანსაღ ძალებს... კი არ ჩურჩულებენ „ავტორიტარული რეჟიმით შევიწროვებული" და „დესპოტური ძალმომრეობით" დაშინებული ადამიანები, არამედ გაჰყვირიან, ბარიკადებს აშენებენ, ისვრიან, ქალაქის მთავარ გამზირზე, ზუსტად ქუჩის გამყოფ თეთრ ზოლზე წვებიან...

**„მე ვთვლი, რომ დღეს საქართველოში დიქტატურა არ არის, ეს უფრო ავტორიტარული რეჟიმია".**

— რას ნიშნავს, ქალბატონო, ავტორიტარული რეჟიმი?

**„—როდესაც სახელმწიფოს დესპოტური პარლამენტი მართავს".** ჯერ ერთი, ავტორიტარული — ხელისუფლებისადმი უსიტყვო მორჩილებაა, სახელმწიფო წყობის ავტორიტარულობა კი, ერთი პიროვნების (მონარქის, დიქტატორის) დესპოტური ძალაუფლებაა, და თანაც კომიკურია, როცა მოაზროვნე ადამიანი დღევანდელ ხელისუფლებას დესპოტურს უწოდებს.

ტელევიზიის წინ მდებარე ტერიტორიაზე დღითიდღე იზრდებოდა ინტელიგენტთა რაოდენობა: —

**„იცით, რატომ ვდგევარ მე ოპოზიციის მხარეს, ოპოზიციის მხარეს არის დღეს ინტელექტუალთა უმრავლესობა — კეთილი, სათნო, სამართლიანი ადამიანები. ეს ჩემი წრეა, მათ მე არ ვუღალატებ... მთავრობის სასახლის წინ კი ჩემთვის უცნობი ადამიანები დგანან..."** ბატონებო, ინტელიგენტი ჩვენს პირობებში, თურმე ინტელექტუალურიც შეიძლება იყოს და უინტელექტოც. ტელევიზიის წინ ინტელიგენტთა სწორედ ინტელექტუალური უმრავლესობა დამდგარა. ჰოდა, რომ შეიტყო დარჩენილმა ინტელიგენციამ. უჩემოდ ჩემი წრის ხალხი მღერისო, ზოგიერთის სოლო სიმღერას საკუთარი მჭექარე ხმა და მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია შეუერთდა.

ჩვენი ინტერესიც სწორედ ამ ე. წ. „სამოქალაქო ოპოზიციამ" გამოიწვია. გადავწყვიტეთ, გავრკვეულიყავით, რამდენად გათვითცნობიერებულია ქართველთა ეს „წრე" იმ პრობლემათა არსში, რომელიც დღეს ყველა ჯურის ინტელექტუალს კამათის საგნად გაუხდია.

გამოკითხვა ინტერვიუს ჩაწერით დავიწყეთ. თითქმის ყველა ოპოზიციონერმა რესპოდენტმა, ანონიმად დარჩენა ისურვა. რატომ? აუხსნელი მიზეზების გამო.

ჩაწერილ ინტერვიუთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, ოდიოზურია, რომელთა გამოქვეყნება გაამხიარულებდა იუმორგაცრეცილ მკითხველსაც კი, მაგრამ ჩვენი წერილი ფელეტონი არ გახლავთ და ჩვენც შევეცადეთ შერჩევით მოგვეწოდებინა ის აზრები, რომლის ჩაწერაც მოვახერხეთ „მოტყუებული უმრავლესობისგან" გამდგარ „მართალ უმცირესობაში",

ჩვენი წერილის მიზანია, დავფიქრდეთ ამ მოსაზრებათა წაკითხვის შემდეგ, და ყველამ ის საქმე ვაკეთოთ, რომელიც უკეთ გამოგვდის. მომიტევეთ, ცოტა მენტორულად გამომივიდა, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზაა:

**...„ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა პრივატიზაცია, ასეთი ფორმით ჩვენ გლეხებზეც ვფიქრობთ. პრივატიზაცია უნდა მოხდეს ისე, როგორც ყველგან. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს [illegible]... მე მომხრე არ ვარ მიწის [illegible] საკუთრებაზე. ზოგან უნდა იყოს თემური საკუთრება, ზოგან სხვა სახის... მოკლედ ძალიან ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო"** (სტილი ყველა ინტერვიუში დაცულია — მ. ს.).

ზედმიწევნით ზუსტად და ნათლად ჩამოყალიბებული მოსაზრებაა. ალბათ ასეთი მიზნებისთვის ბრძოლა ღირს, ბრძოლა თუ არა დემოკრატ მებრძოლთა გვერდით დგომა მაინც, მით უმეტეს თუ ასეთი „ფუნდამენტური" ცოდნა საკითხისა ზურგს გიმაგრებს.





**„...მოვითხოვთ პრესის, ტელევიზიის თავისუფლებას! დღეს საქართველოში რეპრესიების აჩრდილი დადის, საკუთარი აზრის გამოთქმა სახიფათოა, თავისუფალ აზრს აპატიმრებენ".**

ისევ და ისევ კი არ ჩურჩულებს შიშით ხმააკანკალებული ინტელიგენცია, პიკეტებს აწყობს, რუსეთის საინფორმაციო გადაცემებს მოიშველიებს, ერთადერთ „დემოკრატიულ" გაზეთში „დრონი" დიდის გაჭირვებით, როგორღაც ახერხებს უთვალავი შეურაცხმყოფელი წერილის დაბეჭდვას:

**„მე საკუთარი აზრი გამოვხატე წერილში და მოვიტანე ყველაზე დემოკრატიულ გაზეთში (იგულისხმება „დრონი").**

„დაიბეჭდა"?

**— არა, იმდენად რადიკალური იყო, არ დამიბეჭდეს.**

— თუ სცადეთ რომელიმე სხვა გაზეთში, მაგალითად „თავისუფალ საქართველოში" თქვენი წერილის გამოქვეყნება.

**— მე თქვენს გაზეთში არ მსურს წერილის გამოქვეყნება. კომპეტენტური პიროვნებებისგან მსმენია, რომ იგი რეაქციული გაზეთია".**

„გამიგია" „მსმენია", „ასე მგონია", „რომ მომხდარიყო"... ისევ ვარაუდები, ეჭვები. არც ერთი ფაქტი და რაც მთავარია აკვიატებული აზრი, რომ ყველა ეს ბოდვისმსგავსი ჭორი სიმართლეა. ოპოზიციისკენ ნათელი დგას, ოფიციოზისკენ წყვდიადი და იმისთვის რომ ბნელეთი განათდეს:

**„თუ მთავრობის დამხობას კანონიერი გზით ვერ შევძლებთ და ასეც იქნება, რადგან ისინი თავის პოზიციებს კანონით იმაგრებენ, სხვა გზა აღარ არის, ისინი უნდა მოკვდნენ".**

შემაძრწუნებელი სიიოლით ჭრის პოლიტიკურ პრობლემას 18 წლის სტუდენტი, ვუყურებ მას და გულწრფელად გეტყვით, ნამდვილ წყვდიადს ვხედავ. რა დროს პრივატიზაციის და დემოკრატიის ანალიზია, ბატონებო. მომავალ თაობას მივხედოთ, ვისაც ეს გვევალება, თორემ რეპრესიების აჩრდილი თავის მისიას სწორედ ასეთი ბიჭების ხელით განახორციელებს. ამ დროს კი დედა, მამა, საზოგადოების ის ნაწილი, რომლის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულა ეს ბიჭი, შესაშური თანმიმდევრულობით აყალიბებს ოპოზიციის არსს და მასში ინტელიგენციის როლს:

**„ჩვენს სახელმწიფოს არა აქვს პარლამენტური ბრძოლის გამოცდილება, ამიტომ ჩვენთან ოპოზიცია მკვეთრად ჩამოყალიბებული არ არის. უფრო მკვეთრია ინტელიგენციის გამოსვლა. ეს არის ჩამოყალიბებული ფენა თავისი გარკვეული თვალსაზრისით".**

დღეს საქართველოში ყველა ლიდერია, ყველამ არაჩვეულებრივად იცის თავისი და სხვისი საქმე, ყველა ზედმიწევნით ერკვევა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ამერიკის მმართველობით სტრუქტურებში, რუსული მანეთის კურსში, ამ დროს ისინი მსახიობები, რეჟისორები, დიასახლისები, პედაგოგები არიან და ზოგადსაკაცობრიო ან პატრიოტული მოღვაწეობით დაღლილთ საკუთარი პროფესია უხუნდებათ.

მაპატიეთ, პოლიტიკოსო ინტელიგენტებო, ერთ თვინიერ ფრინველს ბატს, ასეთი რამ ახასიათებს: ფრენაც იცის, ცურვაც, ხმელეთზეც დაგოგმანებს, მაგრამ წესიერად ვერც ფრენას ახერხებს, ვერც ცურვას და ვერც სიარულს. ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენი ინტელიგენცია ამ უწყინარ, შინაურ ფრინველს დაემსგავსოს.

საბედნიეროდ ე. წ. სამოქალაქო ოპოზიციონერთა „ნააზრევს" შორის ერთი მეტად პატივცემული ქალბატონის ინტერვიუც მოვიძიეთ. ჩვენდა გასაოცრად, ოპოზიციონერმა ქალბატონმა მეტად მართალი, ჯანსაღი, ყველასათვის მისაღები აზრი მოგვაწოდა:

**„სასურველია ნებისმიერი გამოსვლა მოხდეს კანონიერების ფარგლებში, მაგალითად, ინგლისში არსებობს „ჰაიდ-პარკი", სადაც ყოველი მოქალაქე თავის აზრს გამოთქვამს, ინფორმაციას იღებს და ავრცელებს, ნელ-ნელა ალბათ, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ ოპოზიცია ჩადგეს ყალიბში და ყოველმა ადამიანმა დაიცვას ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია. ნებისმიერი სახელმწიფოს გარანტი ეს უნდა იყოს".**

სამწუხაროდ, ასეთი შვიდი ნააზრევი „უმცირესობის" უმცირესობას აქვს, მაგრამ თუ კი მათივე ბრძოლის მეთოდს დავეყრდნობით, იმედით განათდება გული. უმცირესობის უმრავლესობა, ინტელიგენციის უინტელექტუალურესი ნაწილი კი აგრძელებს მსჯელობას სამშობლოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე:

**„საქართველოში დღეს მძიმე მდგომარეობაა, იცით რა მახსენდება, გოგის უწერია გაჩეჩილაძეს, მე ზეპირად გადმომცეს... „სავლეს და პავლეს ამბავი იცით?" სავლე პირველი მრბეველი იყო კომუნისტებისა, ხომ იცით?..."**

ამ ინტელიგენტმა პოლიტიკა ხომ იცის და იცის, რელიგიაშიც ბრწყინვალედ ერკვევა და „ახალი აღთქმაც" ზედმიწევნით დაუსწავლია. (სხვათა შორის ეს ბატონი პროფესიით ფილოლოგია). ასეთი ღრმა ცოდნის გამომჟღავნების შემდეგ, პრეტენზიას რომ წაგიყენებენ, **„გამსახურდიამ საქართველოში პრივატიზაცია დროზე და სწრაფად ვერ გაატარაო"**, ცოტა დაეჭვდები, იციან თუ არა საერთოდ რას ნიშნავს პრივატიზაცია. პრივატიზაცია ყველაზე რთული კითხვაა, მომახსენეს და მეც ჩემდა უნებურად ვიკითხე — დემოკრატიისათვის მებრძოლნო, დემოკრატიას რაღას უწოდებთ მეთქი:

**„დემოკრატია არის უმრავლესობის ძალაუფლება, თუკი ეგრე გაინტერესებს, ეგრეა"** — გალიზიანებული მპასუხობს ინტელიგენტი-ოპოზიციონერი.

დალოცვილო, დემოკრატიაზე ამის მეტი თუ არაფერი იცი, რაღა გინდა უმცირესობაში, უმრავლესობის ძალაუფლების გამყარებაზე იფიქრე.

**„რეპრესიებია თბილისში აბა არა? გაუსამართლებლად აპატიმრებენ ხალხს".** რომელი დემოკრატიული ქვეყანა არსებობს ნეტავ მსოფლიო რუკაზე, სადაც ჯერ ასამართლებენ დამნაშავეს და მერე იწყებენ გამოძიებას.

ბოლოს ე. წ. სამოქალაქო ოპოზიციის ყველაზე მთავარ, რომ იტყვიან ფუძე საფიქრალზე და სადარდელზე უნდა შევჩერდე.

ოპოზიციისათვის საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ვაკანტურია; ზვიად გამსახურდია არ მოსწონთ და როგორც ირკვევა, რომელიმე სხვა (ადგილობრივი) პოლიტიკოსისთვისაც არ ემეტებათ ეს ადგილი. ვინ უნდა გახდეს მათი აზრით დემოკრატიული ქვეყნის დემოკრატი პრეზიდენტი.

**მხიარული რემინესცენცია:** როცა საქართველოს სასახელო ფეხბურთის გუნდი მატჩს აგებდა, ტრიბუნები გასამხნევებლად გუგუნებდნენ „დინამო"!.. „დინამო"!.. მთავრობის სასახლის წინ შეკრებილი ადამიანები თავის მხარდაჭერას გამოხატავენ... ზვიადი! ზვიადი! ოპოზიცია კი პრეზიდენტის კანდიდატურას აღარ ეძებს. გაჰყვირის ისე, რომ მოსკოვში, ევროპაში, ამერიკაშიც კი აწვდენს ხმას „შევარდნაძე... შევარდნაძე". თუმცა ეს ხომ უმცირესობის აზრია, ამდენად ოდნავ ვმშვიდდები. ჩვენ ხომ ვიცით, რომ დემოკრატები „უმრავლესობის ბატონობაზე ოცნებობენ".

**„რატომ არის უმცირესობის მოთხოვნა? ეს ცოტა დემაგოგიას ჰგავს, შევარდნაძე პურს, კარაქს, ყველს, ერთი სიტყვით ყველაფერს მოუტანს საქართველოს რაც ჭირდება და თუ ამ აზრს უმრავლესობა არ გაიზიარებს თავის თავს დააბრალოს".**

როგორც ჩვენ გვესმის, ოპოზიციის „სამოქალაქო" ნაწილი თვლის, რომ კაცი, რომელსაც ნაირფეროვანი დანაშაული მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, დგას უშველებელ მატარებელთან და ვაგონებს დეფიციტური სურსათით ტვირთავს, — არიქა ქართველებო მძიმე ზამთარი გელით და არ მოგშივდეთო.

გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად ჩემდა უნებურად წერილში სატირული ელემენტები გამერია.

**„ყველაზე მეტად რა არ მომწონს იცით ამ ხელისუფლების, თუ კაცი არ მოეწონათ დაუწყებენ წარსულით შანტაჟირებას, თითქმის ყველას აქვს „ნაჭამი". როცა შევარდნაძეს არ აპატიებენ არაფერს და მცირე დანაშაულს გაუბუქებენ, ჭითანავას ხელმეორედ ნიშნავენ მაღალ თანამდებობაზე და ა. შ. პარლამენტი ცეკას ხალხით არის სავსე. ყველა ვინც ნაციხარი იყო კომუნისტების დროს, დღეს ოპოზიციაშია".**

ეს „სიბრძნე" კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას, დღეს წარმოჩინებულ საზოგადოებაში თითებზე ჩამოსათვლელია ადამიანთა რიცხვი, რომელსაც წარსულში რაიმე „საშანტაჟო" არ ჰქონდეს, ამას თავადაც აღიარებს ოპოზიცია, მიუხედავად ამისა, კადრების საკითხებზე გაუთავებელი პრეტენზიებია. ალბათ პროფესიონალი კადრების სიმცირე ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ინტელიგენტ-ოპოზიციონერები უკომპრომისო შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანას და მის პრეზიდენტად თუ არა, რაიმე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნას მოითხოვენ:

**„... შევარდნაძეს ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ეს გამოწვეული იყო საბჭოური წყობით. იგი მაშინ საბჭოთა ფსიქიკით მოქმედებდა, დღეს კი მსოფლიოში უპირველესი დემოკრატია".**

ბატონებო და ქალბატონებო, თუკი შევარდნაძის ფსიქიკას რხევის ამხელა ამპლიტუდა აქვს, ნეტა ჭითანავას ფსიქიკამ რაღა დააშავა, რომ გაცილებით ნაკლები ცოდვები არ მიუტევოთ?

ერის ის ნაწილი, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავეს პრეზიდენტად ითხოვს, დასაღუპავად არის განწირული. მათ წინააღმდეგ არავითარი უპირატესობით არ უნდა ისარგებლო, არაფრისკენ არ უნდა მოუწოდო, მშვიდად, წყნარად საკუთარი სახლის გზას გაუყენო და დაელოდო, გონს როდის მოვა.

ქართველებო, სანამ შევარდნაძე „მიწიერ სამოთხეს" მოგვიტანდეს, მანამ ჩვენ ჩვენს თავს მივხედოთ თორემ, ისიც სანატრელი გაგვიხდება. რაც ახლა გვაქვს — რეპრესიები, დიქტატურა და ავტორიტარული რეჟიმი, რუსულ ლიდსულოვანებასთან გაზავებული თქვენ მერე ნახეთ. მოდით, უჩვენოდ „იმღერონ" პოლიტიკოსებმა, იურისტებმა, მინისტრებმა, მით უმეტეს თუ ეს უმრავლესობის ნებაც გახლავთ; ჩვენ კი ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ ოჯახში, ქუჩაში, სამსახურში, მერწმუნეთ ასეთი ქმედებით გაცილებით უკეთესს სამსახურს გავუწევთ სამშობლოს. მაგრამ ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ ხოლმე, იქნებ იმიტომ ვერევით სხვის საქმეში ასე აქტიურად, რომ საკუთარი პროფესიის ცოდნა და სიყვარული გვაკლია, ყოველ შემთხვევაში, ინტერვიუები, რომლის ნაწყვეტებიც წარმოგიდგინეთ, ამ მხრივ სანუგეშოს ვერაფერს გვეუბნება.

**მაია სვანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერში კონფლიქტი არ მომხდარა

**ამ წერილის** დაწერა გადავწყვიტე მას შემდეგ, რაც გაზეთში „დრონი"-წავიკითხე ბ-ნ რევაზ გაჩეჩილაძის სტატია „რა მოგველის „შემოდგომის რევოლუციის" შემდეგ (პოლიტიკური პროგნოზის ცდა)". მართალი გითხრათ, სათაურს რომ გავეცანი, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რომ ბატონ რევაზს ისევ ჰქონია პოლიტიკური პროგნოზირების სურვილი, რადგან კარგად მახსოვს, რომ ოქტომბრის არჩევნების წინ გამოქვეყნდა მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული საზოგადოების სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" შემაშფოთებლად დაბალი რეიტინგი ჰქონდა. როგორც შემდეგ დავინახეთ, არჩევნებმა რადიკალურად განსხვავებული შედეგი აჩვენა. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ამა თუ იმ პარტიას ან ბლოკს, რომელსაც დამაჯერებელი გამარჯვება ელის არჩევნებში, არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე დაბალი რეიტინგი არ უნდა ჰქონდეს. ეს იმდენად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ კამათი და მტკიცება არ სჭირდება. ამიტომ მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, ხომ არ ჰქონდა ადგილი სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემების შეგნებულ გაყალბებას ამომრჩეველზე ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით, რათა ამომრჩეველს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა „მრგვალი მაგიდისთვის" დაეჭირა მხარი, გამოკითხვის შედეგებით იმედგაცრუებულს ხელი ჩაექნია და ისევ კომუნისტებისთვის მიეცა ხმა (სხვა პარტიებისა და ბლოკების არჩევნებში მონაწილეობა, როგორც დავინახეთ, მხოლოდ სიმბოლური იყო). როდესაც ყოველგვარი „გამოკითხვებისა" და „სტატისტიკური მონაცემების" მიუხედავად, „მრგვალმა მაგიდამ" ბატონ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა არჩევნებში, მაშინდელი „პროგნოზით" გამოწვეული ჩემი აღშფოთება დავიწყებას მიეცა. მაგრამ გაზეთში „დრონი" გამოქვეყნებულმა წერილმა, სადაც ისევ პოლიტიკური პროგნოზის „ცდაა" მოცემული, ჩემი ძველი ეჭვები ხომ გააღრმავა, მაგრამ ამასთან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ ბ-ნ რ. გაჩეჩილაძის წერილის პათოსი და დედააზრი ჩემთვის ყოვლად მიუღებელია და შევჩერდები რამდენიმე მომენტზე, რომლებიც, ჩემის აზრით, იმდენად არსებითია, რომ ავტორის პოზიციას ნათელს ჰფენს.

დავიწყებ ყველაზე ძირითადიდან, რაც განაპირობებს აღნიშნული წერილის ავტორის მსოფლმხედველობას ზოგადად და, აქედან გამომდინარე, მის დამოკიდებულებას კონკრეტული ფაქტებისადმი, კერძოდ, შევჩერდები იმაზე, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს ავტორი ცნება „ნაციონალიზმს" და ამ ცნებით გამოხატულ მოვლენას.

ბატონი რ. გაჩეჩილაძე წერს, რომ ქართველი ინტელიგენტები, ცნობილი ინტელიგენტები, როგორც თვითონ უწოდებს, თურმე „სინდისმა აიძულა" ხმა აღემაღლებინათ ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ, რომ ისინი „სასწორზე დებენ საკუთარ სიცოცხლეს, თავისუფლებას და სახელს", იღვწიან იმისათვის, რომ ქართველები „ფანატიკოსთა ერთგვაროვან ბრბოდ, კერპთაყვანისმცემლებად და ნაციონალისტებად" არ წარმოვჩნდეთ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. აქ არ შევჩერდები იმაზე, თუ რამდენ ირონიული ღიმილის მომგვრელია მართლაც ტოტალიტარული და ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმის დროს პირში წყალჩაგუბებული ჩვენი „ცნობილი ინტელიგენტების" გმირებად წარმოსახვის ცდა (ამ ინტელიგენტებს ხომ მაშინ არც სინდისი აწუხებდათ დიდად და არც სიცოცხლისა და თავისუფლების გაწირვა მოსდიოდათ აზრად) და გადავალ ჩემს ძირითად სათქმელზე — როგორც დავინახეთ, ცნობილი ინტელიგენტების (და მათ შორის წერილის ავტორისაც, რა თქმა უნდა) შეშფოთებას იწვევს ის, რომ მსოფლიო ჩვენ „ფანატიკოსთა ერთგვაროვან ბრბოდ, კერპთაყვანისმცემლებათ და ნაციონალისტებად" მიგვიჩნევს.

„ნაციონალისტის" ამ კონტექსტში მოხსენიებით უკვე ნათლად ჩანს წერილის ავტორის პოზიცია მოცემული ცნებისა და მოვლენისადმი, რადგან თავისთავად არც ფანატიკოსობაა სატრაბახო და მოსაწონი, არც კერპთაყვანისმცემლობა. ვართ თუ არა ჩვენ ასეთები, ეს სხვა საკითხია, თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ ნაციონალიზმზე მწყრალად მყოფ კოსმოპოლიტ კაცს შეიძლება გულანთებული პატრიოტობა და ეროვნული გმირისა და ლიდერის სიყვარული მართლაც ფანატიზმად და კერპთაყვანისმცემლობად მოეჩვენოს.

რა არის ნაციონალიზმი? იგი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც აღიარებს ეროვნულის, ეროვნულობის პრიმატს და ესწრაფვის ერისა და სახელმწიფოს თანხვედრას. ჩვენს კონკრეტულ მაგალითზე თუ ვიტყვით, ქართული ნაციონალიზმისთვის ყველაზე ღირებულია ყოველივე ჭეშმარიტად ქართული, ტრადიციული და მისი მიზანია ის, რომ ქართველ ერს ჰქონდეს ქართული სახელმწიფო.

სულ სხვა საქმეა, როდესაც რომელიმე ერის ნაციონალიზმი დამპყრობლურ ნაციონალიზმში გადადის, რაც მართლაც უარსაყოფი და დასაგმობია. მაგრამ, სხვათა შორის, ჩვენ, ქართველებს, ამის საშიშროება ყველაზე ნაკლებად ან სრულებით არ გვემუქრება, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში დამპყრობლური მომენტი ან საერთოდ არ არსებობს, ან თუკი იყო კიდეც, უმნიშვნელო და ეპიზოდური ხასიათისაა და ამდენად ტიპიური ვერ იქნება. ხოლო რადგანაც ერის ისტორიას ეროვნული ხასიათი განსაზღვრავს (აქ, რა თქმა უნდა, არის უკუკავშირიც), შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ ქართული ეროვნული ხასიათი მთლიანად გამორიცხავს დამპყრობლურ და დიდმპყრობელურ შოვინიზმს. ქართული ნაციონალიზმი თავდაცვითი ნაციონალიზმია. ნაციონალიზმი, ეროვნულობის პრიორიტეტის აღიარება ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის გადარჩენის, ეროვნული ნიშან-თვისებების, თავისთავადობის შენარჩუნების ერთადერთი გარანტია. ეს მით უმეტეს აუცილებელია დღევანდელ მსოფლიოში, რომელსაც ბოლო საუკუნეში რამდენჯერმე დაემუქრა ეროვნულობის, ეროვნულის განადგურების საშიშროება: ჯერ იყო და, ყველა ქვეყნის პროლეტარების შეერთებით შეეცადნენ ეროვნული სახელმწიფოების ამოძირკვას, რასაც კარგა ხნით (70 წლით მაინც) მიაღწიეს კიდეც; ერის კლასობრივი დაყოფის ექსპერიმენტმა ლამის გადაგვარებამდე მიგვიყვანა (ამის შესანიშნავი ნიმუშია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, როცა „ელიტარული ინტელიგენცია" „არაელიტარულ" ინტელიგენციას და ყველა დანარჩენ „კლასს" დაუპირისპირდა, როცა ქალაქელმა ამრეზით შეხედა სოფლელს და ა. შ.); ახლა ახალი ლოზუნგი შემოგვთავაზეს — ყველა ქვეყნის დემოკრატებს მოუწოდეს შეერთებისაკენ, ხან ე. წ. საერთო ევროპული სახლის იდეა წამოაყენეს, რომლის მცირე ანალოგია, ე. წ. საერთო კავკასიური სახლის იდეა; სიტყვა „ინტელიგენცია" ხომ აღარ შორდება პრესის ფურცლებსა და პოლიტიკოსების პირს.

ჩვენს სინამდვილეში, სამწუხაროდ, ცნებები უკიდურესად (ალბათ, შეგნებულად) აღრეულია, რაც ლამის გამორიცხავს პოლემიკასა და აზრთა გაზიარებას. მაგალითად, ის, რაც, ვთქვათ, „ელიტარული" ინტელიგენტისთვის დემოკრატიაა, ჩემთვის შეიძლება ანარქია იყოს, ახევე გაბუნდოვნებულია (ჩემის აზრით, ხელოვნურად) დიქტატურის, ტოტალიტარიზმის და ამჯერად პოპულარული სხვა ცნებების მნიშვნელობა. იგივე ბედი ეწია ცნება „ნაციონალიზმს" და მისგან გამომდინარე „ნაციონალისტს", არადა, თუკი ქართულ სიტყვა „ეროვნულს" ვთარგმნით ინგლისურად, მივიღებთ —ნაცია-ერი, ასე რომ „ნაციონალიზმი" სხვა არაფერია, თუ არა ეროვნულობის პრიმატის მაღიარებელი მიმდინარეობის აღმნიშვნელი საერთაშორისო ტერმინი, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეროვნულ ნიადაგზე მდგომ კაცს, ჭეშმარიტად ეროვნული თვითშეგნების მქონეს, არც უნდა სცემდეს შიშის ზარს სიტყვა „ნაციონალიზმი" და „ნაციონალისტი", თუ მას მარქსისტულ-ლენინური „მოძღვრებით" არა აქვს ტვინი გადაბრუნებული ან კოსმოპოლიტიზმის სენი არ შეჰყრია მით უმეტეს, ძალიან უხეში შეცდომაა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფაშიზმისა და ნაციონალიზმის გვერდიგვერდ მოხსენიება, როგორც პარალელური ან მსგავსი მოვლენების გამომხატველი ცნებებისა (რაც ბატონ რ. გაჩეჩილაძის წერილში არაერთხელ გვხვდება).

ნაციონალისტობა აგინდ მცდარად არ უნდა იყოს ის გაგებული ბატონ რ. გაჩეჩილაძის მიერ, მოსატანიც არ არის იმ ბრალდებასთან შედარებით, რასაც ის უყენებს დღევანდელ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერებს — ბატონი რ. გაჩეჩილაძე დარწმუნებულია, რომ ჩვენთან ფაშიზმის აჩრდილი დადის (!). დიახ, სწორედ ფაშიზმის! აკი წერს კიდეც, ინტელიგენციამ (და რა თქმა უნდა, თვითონაც) ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცების ტენდენციაში ნიურნბერგის აჩრდილი დაინახაო (ისე, საქართველოში მართლა ფაშიზმიც რომ იყოს, ნიურნბერგთან პარალელი მაინც არაფერ შუაშია — ნიურნბერგის პროცესზე ხომ სწორედ მთავარი ფაშისტები, ასე ვთქვათ, ხელისუფლება გაასამართლეს და არა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ინტელიგენტები და დემოკრატები). სამომავლოდ ბ-ნ გაჩეჩილაძის პროგნოზი „იმედისმომცემია": „ოციოდე წლის შემდეგ ადგილობრივი **ტოტალიტარიზმის** სენმოხდილი საქართველო იქნება ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყანა. მის სათავეში მოვლენ, ვთქვათ, **სოციალ-დემოკრატები** ან კონსერვატორები, მაგრამ არა **ფაშისტები და ნაციონალისტები**". (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, — ქ. ტ.). ხედავთ, ისევ სოციალ-დემოკრატებზე ამყარებს იმედს, რომელთაც, რა ხეირიც დაგვაყარეს, მენშევიკებმა თუ ბოლშევიკებმა, ყველამ კარგად ვიცით, აქ კომენტარი ზედმეტია.

ყოველგვარი ირონიის გარეშე, გულწრფელად გაკვირვებული ვეკითხები ბატონ რევაზს, ნუთუ მას მართლა ჰგონია, რომ საქართველოს ფაშიზმი ემუქრება? თუ ჰგონია, მაშინ ეჭვი მიჩნდება, რომ მან იცოდეს, რა არის ფაშიზმი. იმის დაჯერებაც მიჭირს, რომ შეგნებულად იწერდეს ასეთ ამაზრზენ ცილისწამებას. რადგან ეს იქნება უკვე არა „პოლიტიკური პროგნოზის", არამედ საკუთარი ქვეყნისათვის ძირის გამოთხრის და მსოფლიოს თვალში სახელის შეგნებულად გატეხვის ცდა. თუმცა რას იზამ, ობივატელური ცნობიერების თვალსაწიერიდან დავით აღმაშენებლის დიდგორის ბრძოლისწინა მოწოდება ლაშქრისადმი, უკანდასახევი გზა ჩავხერგოთ და ან გავიმარჯვოთ, ან დავიხოცოთო, ან მის მიერ მოღალატე ლიპარიტ ორბელიანის საქართველოდან გაძევება, ტირანიისა და დესპოტიზმის (ტერმინი „ფაშიზმი" მაშინ არ არსებობდა) უმაღლეს გამოვლინებად შეიძლება ჩანდეს.

ბატონ რევაზს მსოფლიო მოქალაქის კოსმოპოლიტური ცნობიერება რომ არ ჰქონდეს, „ფანატიკოსთა ერთგვაროვან ბრბოდ" არ მოეჩვენებოდა (ვერც გაიმეტებდა ასეთი ეპითეტით „შესამკობად") ქართველი ერის ის უდიდესი და, სხვათა შორის, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე ნაწილი, ხელისუფლებას რომ უჭერს მხარს. ეროვნულ ნიადაგზე მდგომი კაცისთვის ეს არის არა ბრბოს ფანატიკური აღტყინება, არამედ მამულიშვილური გრძნობით ანთებული ხალხის ერთგულება და სიყვარული ჭეშმარიტად ეროვნული გმირისა და ლიდერისადმი (და არა ბელადისადმი, როგორც რ. გაჩეჩილაძე წერს). დასაძრახია ეს სიყვარული? რატომ სთხოვს ბატონი რ. გაჩეჩილაძე ქართველ ხალხს, ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდეს თავისი პრეზიდენტისადმი, როგორიც მსოფლიოს რომელიმე სახელმწიფოში აქვთ თავისი ხელისუფლებისადმი, მორიგი პრეზიდენტის ან პრემიერისადმი? ბატონი ზვიად გამსახურდია ხომ ქართველებისთვის არც რიგითია და არც მორიგი, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რიგით პირველია, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. ან მაშინ რატომ თვითონვე არ მიბაძავს მისთვის სანიმუშო ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყნებს, სადაც ასე უშვერად არ ლანძღავენ საკუთარ კანონიერ ხელისუფლებას, სადაც პრეზიდენტის შეურაცხყოფა ერისა და სახელმწიფოს შეურაცხყოფის ტოლფასია (და სამართლიანადაც)!

ბატონი რ. გაჩეჩილაძე წუხილს გამოთქვამს: „პრეზიდენტს ყველა ხედავს, იგი ერის სახეა, მისით მსჯელობენ საქართველოზე საზღვარგარეთ. ჩვენთვის კი, არ არის სულერთი რას ლაპარაკობენ ჩვენზე". მაშ რატომ უტეხავენ ის და მისთანები სახელს პრეზიდენტს, თუ საქართველოს ბედი ანაღვლებთ? რატომ ცდილობენ ასე თავგამოდებით, რომ დანერგონ უნიადაგო სტერეოტიპული აზრი, თითქოს მისი ხელმძღვანელობით საქართველო სისხლიანი დიქტატურისაკენ მიექანება?

დიახ, პრეზიდენტი გამსახურდია ერის სახეა და საქართველოს იგი უნდა და მოსწონს ისეთი, როგორიც არის. რა ვუყოთ, რომ მავანი და მავანი სხვადასხვა, ძირითადად,პირადული მიზეზების გამო ვერ ურიგდება მის პეზიდენტობას? რაო, ბატონო რევაზ, იქნებ უმცირესობის ნების გამომხატველი ხელისუფლება აჯობებდა? განა არ იცით რომ სწორედ უმცირესობის ნების გამომხატველ ხელისუფლებას სჭირდება იარაღით გზის გაკაფვა და იარაღითვე შენარჩუნება მმართველობისა?

ალბათ, ბატონი ავტორი თვლის, რომ ობიექტურად ჰყავს შეფასებული პრეზიდენტი, როცა ამბობს „საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი მართლაც გამორჩეული პიროვნებაა, ბევრი დადებითი თვისებაც აქვს. ფაქტია, რომ იგი უკვე შევიდა საქართველოს ისტორიაში, რომ მის პიროვნებაზე „ოცდამეერთე საუკუნეშიც იკამათებენ". ჩემის აზრით, ეს გახლავთ ყოვლად ბუნდოვანი შეფასება, ერთობ ორაზროვანი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ავტორმა სათქმელი ვერ გამოკვეთა, არამედ იმიტომ, რომ მკითხველისთვის მრავალგვარი ინტერპრეტირების საშუალება მიეცა — გამორჩეული პიროვნება იყო, ვთქვათ, დავით აღმაშენებელიც და ადოლფ ჰიტლერიც, საქართველოს ისტორიაში შევიდა ილია ჭავჭავაძეც და სერგო ორჯონიკიძეც, სტალინზეც ამბობენ, მის პიროვნებაზე რამდენიმე საუკუნე იკამათებენ და მაინც ვერ გახსნიანო...

ერთში კი უნდა დავეთანხმო ბატონ რევაზს — ის ამბობს: „ერთი ადამიანის თვისებები შეიძლება სხვადასხვაგვარად დავინახოთ: სიმტკიცე — სიჯიუტედ, მოქნილობა — უპრინციპობად, გაბედულება — უგუნურებად" — ჭეშმარიტად რომ ასეა — იმისდა მიხედვით, თუ როგორი წინასწარი პოზიცია გიკავია, მტერი ხარ თუ მოყვარე, კეთილგანწყობილი ხარ თუ ჩასაფრებული. სიმამაცე შეიძლება სიგიჟედ მონათლოს კაცმა, პატიოსნება — [illegible] და ასე შემდეგ. აი ის კი ვერ გამიგია, როგორ შეიძლება საღად მოაზროვნე ადამიანმა [illegible] პატრიოტიზმი [illegible] სად პატრიოტიზმი და სად [illegible]? [illegible] პატრიოტიზმი [illegible] ბატონო ავტორო [illegible] პატრიოტიზმი [illegible] თავისი ქართველობით, [illegible] პატრიოტიზმით, თორემ ასეთ სოფიზმამდე არ მივიდოდა.

დასასრულ, მინდა [illegible] რ. გაჩეჩილაძის წერილში კონსტატირებული ერთი ფაქტი, რომ თითქოს ერში კონფლიქტი მოხდა [illegible] ოქტომბრის მოვლენები). არა, ბატონო რევაზ, კონფლიქტი ერში არ მომხდარა. კონფლიქტი მოხდა ერსა და პოლიტიკური ინტელიგენციის ელიტას შორის (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ნინო გველესიანის „ისევ ერის მოყვარული გული გერჩიოთ", „თბილისი", 8 ოქტომბერი, 1991 წ.).

ქეთევან ტოროტაძე

## გამოხმაურება

ქვემორე ხელისმომწერნი მხარს ვუჭერთ ინტელიგენციის მოწოდებას „პროტესტს ვაცხადებთ", რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" ა. წ. 11 ოქტომბრის ნომერში:

**ჯენარო ანდღულაძე** — ფილოლოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი; **ლამარა შენგელია** — ინჟინერ-ფეიქარი, დოცენტი, მთავარი სპეციალისტი (მრეწველობის სამინისტრო); **გურამ რუხაძე** — ინჟინერ-ფეიქარი, მთავარი სპეციალისტი (მრეწველობის სამინისტრო); **მერი ყიფიანი** — ინჟინერი-ფეიქარი, მთავარი სპეციალისტი (მრეწველობის სამინისტრო); **ლუარა გვაჯაია** — ინჟინერ-ფეიქარი, მთავარი სპეციალისტი (მრეწველობის სამინისტრო), **ლალი დოლიძე** — ინჟინერ-ფეიქარი, მთავარი სპეციალისტი (მრეწველობის სამინისტრო); **ნუნუ გველესიანი** — მეან-გინეკოლოგი (V სამშობიარო სახლი); **რევაზ ხუნწარია** — კინორეჟისორი-დოკუმენტალისტი (კინო-სტუდია „მემატიანე"), **უჩა ხუნწარია** — ჟურნალისტი (საგარეო საქმეთა სამინისტრო); **ზაზა ხუნწარია** — მეცნიერი თანამშრომელი (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი); **ვიოლა ქართსანიძე** — კინოოპერატორი-მულტიპლიკატორი; **გოგი კახრაძე** — კინორეჟისორი-მულტიპლიკატორი; **ნათელა ურუშაძე** — ექიმი-სტომატოლოგი; **მზგული ურუშაძე** — ჟურნალისტი; **გია შვანგირაძე** — ტექნიკის მეცნ. კანდიდატი; **თამარ რამიშვილი** — პედაგოგი (კონსერვატორია); **ოთარ მელია** — პედაგოგი; **დონარა შვანგირაძე** — პედაგოგი; **ნინო ჩოლოყაშვილი** — (ბიოლოგი), **თემო ბერიძე** — (ხელოვნებათმცოდნე), **დარეჯან სირია** — (უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი). **ნინო ანთელავა**— (ექიმი). **მზია ჩაჩავა** — ფილოლოგი; **ფიქრია ზანდუკელი**—ფილოლოგი; **მერი ინაიშვილი** — ფილოლოგი; **ნანა ხუხკივაძე** — ქიმიკოსი; **ლეილა დუმბაძე** — გეოლოგი (საქართველოს დამსახურებული არტისტი). **ნინო მახარაძე** — ქიმიკოსი, **შალვა ფაილოძე**—ინჟინერი, **როდამ ზანდუკელი** — ფილოლოგი, **იზო წაქაძე** — ფილოლოგი, **ნანა მათიკაშვილი** — ფილოლოგი **ევგენიზა ხალაყაია** — ჟურნალისტი (საქტელერადიოდეპარტამენტი).

# დავით დიდი კურაპალატი



ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. იგი გრძელდებოდა მეათე საუკუნის დასასრულს და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისშიც.

მტკიცე საფუძველი ამ ფრიად კეთილშობილურ და ჩვენი ერისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს მეფე დავით კურაპალატის სწორი პოლიტიკის წყალობით ჩაეყარა.

„ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს: მეფე დავით „იყო ღმრთისმოყვარე და გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვრ-უხსენებელი, ეკლესიათა მშენებელი, ტკბილი, უხუ, კაცთ-მოყუარე და ფიჩოსანთ-მოყუარე (ძაძით მოსილთა მოყვარე), ყოველთათჳს კეთილის-მყოფელი და სავსე ყოვლითა კეთილითა“.

დავით კურაპალატის მიმართ ქება-დიდების სიტყვებს არ იშურებს სომეხი მემატიანე ასოღიკიც. მისი დახასიათებით დავით იყო „კაცი, იმდროინდელ ყველა მეფეზე უფრო მშვიდი, წყნარი. იგი გახდა მიზეზი ყოველთა აღმოსავლელთა მშვიდობისა და აღმშენებლობისა, მეტადრე სომხებისა და ქართველების. რამეთუ ომის მძვინვარება ყოველი მხრიდან დააცხრო მან, ძლია რა ყოველ ირგვლივ მყოფთ“.

დავით დიდი კურაპალატის მეთაურობით ქართველმა ხალხმა სომხებთან ერთად შეძლო გამკლავებოდა საერთო მტრებს — მაჰმადიან ამირებს და შეექმნა მშვიდობიანი ცხოვრების პირობები.

იმდენად ძლიერი და სახელგანთქმული გამხდარა დავით კურაპალატის დროს საქართველო, რომ თავად ბიზანტიის იმპერატორმა ბასილმაც კი სთხოვა სამხედრო დახმარება.

ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორს თავისივე სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა და რამდენიმე ბრძოლაში დაამარცხა კიდეც. ბასილის იმპერატორობა საფრთხის წინაშე დადგა. დავით კურაპალატმა მის დასახმარებლად თორმეტი ათასი რჩეული მხედარი გაგზავნა სახელგანთქმული სარდლების თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის მეთაურობით.

გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც ასე ცოცხლად და მაღალმხატვრულად აღწერა აკაკი წერეთელმა პოემაში „თორნიკე ერისთავი“, ქართველმა ლაშქარმა გაანადგურა აჯანყებული სკლიაროსის მხედრობა და ბასილმაც შვებით ამოისუნთქა. დახმარების სანაცვლოდ ბიზანტიის იმპერატორმა დავითს ვრცელი მიწა-წყალი უბოძა. მათ შორის იყო ჰარქის მხარე, რომლის საზღვარზე ქალაქი მანასკერტი მდებარეობდა.

იმ ხანად მანასკერტი მაჰმადიან მარვანდთა ხელში იმყოფებოდა. ამდენად დავით კურაპალატი ფაქტობრივად მხოლოდღა ნებართვას იღებდა, რათა ბრძოლით წაერთმია მარვანდებისათვის მანასკერტი და მისი სანახები.

ძლიერი ნებისყოფის, გულადი და შორსმჭვრეტელი დავით კურაპალატი დაუცხრომლად ცდილობდა თავისი საზღვრების გაფართოებას და ამ შემთხვევასაც, ბუნებრივია, ხელიდან არ გაუშვებდა. მან ქალაქ მანასკერტს ალყა შემოარტყა და აიძულა მაჰმადიანები ქალაქი დაეტოვებინათ. დაცარიელებულ ქალაქში დავითმა ქართველები და სომხები ჩაასახლა.

ამ ამბავმა მთელი მახლობელი მაჰმადიანური სამყარო აღაშფოთა. ისინი დავითს დაემუქრნენ და მოითხოვეს ხელი აეღო დაპყრობილ ქალაქზე. დავითმა მტერს არ დაუთმო. მაშინ სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველმა მამლან მუჰამედმა დიდძალი ჯარი შეჰყარა და დავითის წინააღმდეგ დაიძრა. მემატიანეს თქმით მაჰმადიანთა ლაშქარი 100 ათასს აჭარბებდა.

მამლანთან საბრძოლველად დავით კურაპალატის გვერდით დადგნენ ქართველთა და სომეხთა სამთავროები. ამის გამო მაჰმადიანთა წინამძღოლმა დავითთან შებმა ვერ გაბედა და კუდამოძუებული უკან გაბრუნდა.

დავით კურაპალატი და მისი მოკავშირეები ამის შემდეგ მაჰმადიანურ სამყაროს ორჯერ შეებრძოლენ და 998 წელს სასტიკად დაამარცხეს მამლანი და მისი მოკავშირე მაჰმადიანები.

დიდია დავით კურაპალატის დამსახურება ქართველი ერის წინაშე და ეს უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ სწორედ მან რამდენიმე ბრძნული, გამიზნული და გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა საქართველოს გაერთიანების გზაზე. ყოველივე ამან კი თავისი დადებითი შედეგი მოგვცა.

დავით კურაპალატს შვილი არ ჰყავდა. მან იშვილა და გაზარდა ქართლის მეფის გურგენის ძე ბაგრატი, რომელიც იყო შვილი „ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსაც ეყოლა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე“.

ქართველი ერის გაერთიანების საქმის სულისჩამდგმელი და თავდადებული მოღვაწე იმ ხანად იყო დიდი პატრიოტი და ბრძენი იოანე მარუშის ძე. სწორედ მისი თაოსნობით მოხდა ის, რომ „ყოველთა დიდებულთა, აზნაურთა აფხაზეთისა და ქართველისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფე დავით კურაპალატისაგან“.

მოიწონა ეს წინადადება დავით კურაპალატს და საჩქაროდ ქართლისაკენ გამოეშურა ოჯახითურთ. იოანე მარუშის ძე მას ქვაჭვრელთან მოეგება და უფლისციხე გადასცა. დავით დიდმა ქართლის დიდებულები და აზნაურები შეკრიბა და განუცხადა, რომ ბაგრატ „არს მკვდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“. მაგრამ ყველა ქართველი დიდებული როდი [illegible] მარუშის ძის მხარეს [illegible] განი, პირადი [illegible] გამორჩენის წყურვილით შეპყრობილნი და დაბრმავებულნი, ქვეყნის ბედიღბალს არად დაგიდევდნენ და „იწყეს კუალად მედგრობით ზაკულობა“. დავითი უმალ ქართლში გაჩნდა და საქმეებიც ხელახლად გაარიგა.

ამასობაში აფხაზეთში მდგომარეობა დაიძაბა. ქვეყანა ანარქიამ და უზნეობამ მოიცვა. იქაურმა დიდებულების პროგრესულმა ნაწილმა აშკარად დაინახა, რომ ქვეყნისთვის საჭირო იყო ძლიერი პატრონი. ამ გარემოებით უმალ ისარგებლა იოანე მარუშის ძემ და გონივრულად მოახერხა და „დიდებულთა ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან“. ახალგაზრდა ბაგრატი აფხაზეთში ჩაიყვანეს და „დალოცეს მეფედ“. ეს მოხდა 998 წელს.

ასე ჩაეყარა მკვიდრი საძირკველი საქართველოს გაერთიანებას.

მეფე დავით დიდი კურაპალატი დიდ ყურადღებას იჩენდა ერის ზნეობრივი სიმტკიცისათვის, ქრისტიანული სარწმუნოების ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის. ამ მიზნით იგი ხელს უწყობდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობას, ხოლო თავად დავითმა „აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“.

გარდაიცვალა მეფე დავით დიდი კურაპალატი 1001 წელს.

მოამზადა
გ. მეახიშვილმა

უშანგ ოზოლაძის ნახატი.

---

## დემოკრატია

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

**„დემოკრატიაზე საუბარი არის ინტელექტუალური უაზრობა, რამეთუ ჩვენ არ ვიცით რაზე ვსაუბრობთ“.**

დემოკრატია ერთობ შეფარდებითი და წინააღმდეგობრივი ცნებაა. არ არსებობს მისი საყოველთაოდ მიღებული განმარტება, რადგან დემოკრატიის ზოგადი იდეის განმარტებასთან დაკავშირებული სიძნელეების გარდა ეს ცნება უამრავი მეორადი მნიშვნელობებითაცაა დატვირთული (დემოკრატია, როგორც ცხოვრების წესი, როგორც იდეოლოგია, სოციალური და ეკონომიკური დემოკრატია და სხვ.). ამას გარდა დემოკრატიაზე მსჯელობისას ხშირად იმაზე უფრო მსჯელობენ, თუ რით განსხვავდება ის არადემოკრატიული პოლიტიკისგან თუ ანარქიზმისგან და არა იმაზე — თუ თვითონ რა არის ის. ასევე ხშირად დემოკრატიადაა განხილული ყველა ის პოლიტიკური სისტემა, რომლებიც ანტიდემოკრატიული (მაგ. დიქტატორული) რეჟიმის შემდეგ მყარდება. ხოლო შეფარდებითობას რაც შეეხება, ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ არასოდეს და არსად არ არსებულა ე. წ. სრული დემოკრატია, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები არის უფრო მეტად დემოკრატიული ქვეყანა. ისეც ხდება, რომ სხვათა დემოკრატიას დემაგოგიას ეძახიან, ხოლო საკუთარ დემაგოგიას — დემოკრატიას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონების სტანდარტული განმარტებებით დემოკრატია არის საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება ხალხისგან მომდინარეობს და მოქალაქენი უფლებრივად თანასწორნი არიან; პოლიტიკური წყობილების ფორმა, რომლის დროსაც ხალხის მმართველობაა; სისტემა, რომელშიც მმართველი უმრავლესობა პატივს სცემს უმცირესობის უფლებებს; სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უზენაესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის; დემოკრატია გულისხმობს უმცირესობის დამორჩილებას უმრავლესობისადმი, სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად ორგანოთა არჩევითობას, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების და პოლიტიკური თავისუფლების არსებობას (აგრეთვე — მისი რეალიზაციის პირობების და გარანტიების შექმნას); კანონის უზენაესობის აღიარებას; მოკლედ — დემოკრატიული სახელმწიფო აღიარებს ხალხის ხელისუფლების პრინციპს.

ტერმინი „დემოკრატია“ მოდის ბერძნული სიტყვებიდან: დემოსი — ხალხი და კრატოს — ხელისუფლება, ე. ი. ხალხის ხელისუფლება. სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიის მიხედვით ეს სიტყვა შეიქმნა ძველ საბერძნეთში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ მას უკვე პოლიტიკურ ცნებად იყენებდნენ. ტერმინი დღეს გამოიყენება ნებისმიერი რომელიმე პოლიტიკური ან სოციალური სისტემის, ორგანიზაციის დასახასიათებლად მიუხედავად იმისა, დემოკრატიულია თუ არა ხელისუფლების ფორმა. აგრეთვე — საზოგადოებრივი მოძრაობის, პოლიტიკური კურსის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მიმდინარეობის და სხვ. მიმართ.

ანტიკური მოაზროვნეები დემოკრატიაში გულისხმობდნენ თავისუფალ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებს. პლატონი და, განსაკუთრებით, არისტოტელე შეეცადნენ სისტემური თეორია შეექმნათ პოლიტიკაზე და, შესაბამისად — დემოკრატიაზეც. დემოკრატიის არისტოტელესეული განმარტება უდევს პრინციპულ საფუძვლად შემდგომ ინტერპრეტაციებს. მაგრამ, აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ დემოკრატიის გაგება ძველი საბერძნეთის მიერ სრულად არ თანხვდება მის დღევანდელ გაგებას.

ბერძნები ცნობდნენ მოქალაქეთა თანასწორობას, მაგრამ არ ცნობდნენ ადამიანთა თანასწორობას. მოქალაქეობრივი უფლებები ჩამორთმეული ჰქონდათ ქალებს, მონებს, უცხოელებს (ასე, რომ დემოკრატია კი ნიშნავს ხალხის ხელისუფლებას, მაგრამ „ხალხში“ ყველა არ იგულისხმება). მოქალაქეები ქმნიდნენ საკანონმდებლო ხელისუფლებას და მათთვის უცნობი იყო წარმომადგენლობითი სისტემა.

დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ტრადიციებში დემოკრატია დასაბამს იღებს ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებისგან. ათენის ქალაქ-სახელმწიფოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 508 წლიდან 338 წლამდე, მაკედონიელების მიერ ათენის დაპყრობის პერიოდში, მოქალაქენი დემოკრატიის უშუალო ფორმით — მიტინგებზე და შეკრებებზე წყვეტდნენ მნიშვნელოვან საკითხებს.

რომი ოლიგარქიული რესპუბლიკა იყო და შემდეგ ავტოკრატიულ იმპერიად იქცა. იქ ყოველთვის მკაცრი არისტოკრატიზმი მეფობდა.

დემოკრატიზაციის გლობალური პროცესი იწყება ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის პერიოდიდან. თანასწორობის იდეა იყო ის ძირითადი ნერვი, რამაც შუა საუკუნეების ფეოდალური წყობა შეარყია.

დემოკრატიული იდეები აღმოცენდა 1647-1650 წწ. ინგლისის სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც დამოუკიდებელი პროტესტანტების ერთი ჯგუფი მოუწოდებდა მთავრობის რეფორმებისკენ.

ჟან-ჟაკ რუსო სხვა საკითხებთან ერთად დემოკრატიის თეორიასაც ამუშავებდა („სოციალური კონტრაქტი“, 1762 წ.) დემოკრატიის თეორიის ისტორიაში აუცილებლად მოიხსენიება ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნის ა. ტოკვილის წიგნი „დემოკრატია ამერიკაში“ (1835 წ.), რომელშიც განხილულია დემოკრატიის ისტორიული გენეზისი, არსი და პერსპექტივები.

დემოკრატიის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო საფრანგეთის და ამერიკის რევოლუციებით.

1776 წლის 4 ივლისს ამერიკის ქალაქ ფილადელფიაში ზარები რეკდნენ. ამ ზარებმა ამერიკასა და მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ აქ ამერიკის კონგრესმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია და გამოაცხადა მსოფლიოში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა.

დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკაში დემოკრატია დამკვიდრდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. პირველ მსოფლიო ომამდე აშშ-სა და ინგლისის გარდა მეტ-ნაკლებად „სრული“ დემოკრატია არც ერთ ქვეყანაში არ არსებულა.

დემოკრატიის ყველაზე განვითარებული ისტორიული ტიპია ბურჟუაზიული დემოკრატია. თანამედროვე დასავლეთის სამყაროს ქვეყნებში შექმნილია დემოკრატიის განვითარებისა და განახლების ყველაზე ფართო შესაძლებლობები აშშ-ში, მსოფლიოს ამ სოციალურ ლაბორატორიაში, „ჭარბი დემოკრატიის“ შეკვეცაზეც კი არის მოწოდებები.

განასხვავებენ წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტებს. წარმომადგენლობითია არჩევითი ორგანოები (მაგ. პარლამენტი). ეს არის ხელისუფლების ფორმა, სადაც მოქალაქეთა ამ უფლებას ახორციელებენ არა უშუალოდ მოქალაქენი, არამედ მათ მიერ არჩეული წარმომადგენლები, ხოლო უშუალო დემოკრატიის ფორმაა პირდაპირი ხმის მიცემა, რეფერენდუმი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობა, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა საერთო სახალხო განხილვა, მიტინგის ან კრების გადაწყვეტილება და ა. შ.

დემოკრატია თავისი სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა მართვის სხვა ფორმებისგან. ეს ნიშნებია პარლამენტის უზენაესობა მთავრობაზე, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, საარჩევნო უფლება და სხვა სამართლებრივი გარანტიები, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა, მათი ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე; სიტყვისა და კრებების თავისუფლება; კანონის უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ხელისუფლება და ხალხი ბატონი და მონა არ არიან. ესენი არიან თანასწორუფლებიანი პარტნიორები, რომელთაც თანაბარი უფლებები და მოვალეობები აკისრიათ.

დემოკრატია სახელმწიფო მმართველობის ყველაზე ძნელი ფორმაა. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მოქალაქეებისა და ლიდერების პოლიტიკურ კულტურაზე.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზმის მაჩვენებელია პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა. არ შეიძლება დიქტატორული ერქვას მთავრობას, რომელსაც ოპოზიცია ჰყავს.

მხოლოდ დემოკრატიით შეიძლება ადამიანთა მთვლემარე ენერგიის გამოყენება მათივე და მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. იგი ქმნის მოქალაქეთა, სხვადასხვა ორგანიზაციების და ორგანოების ინიციატივას განვითარებისა და ხელშეწყობის პირობებს, გზას უხსნის ადამიანთა კანონიერ სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობას.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ არა დემოკრატიაზე, არამედ დემოკრატიზაციის პროცესზე, უნდა შევიმუშაოთ მისი პროგრამა. საჭიროა ხალხის თვითმმართველობის განვითარება, უშუალო დემოკრატიის ფორმების და საარჩევნო სისტემის სრულყოფა, შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის და საწარმოო დემოკრატიის განვითარება, კიდევ უფრო მეტი საჯაროობა. უნდა შეიქმნას დემოკრატიის ინფრასტრუქტურა.

დემოკრატიზაცია არის დემოკრატიული საწყისების დანერგვა, დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრების პროცესი, საზოგადოების გარდაქმნა დემოკრატიზმის საფუძველზე. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის გარეშე დემოკრატია ილუზიაა.

დემოკრატიულ ქვეყნებს თუ დავყოფთ სტაბილურებად და არასტაბილურებად (სტაბილურობის კრიტერიუმად ვიღებთ უწყვეტ პოლიტიკურ დემოკრატიას) საინტერესო ფაქტს ვნახავთ: 10-15 სტაბილური დემოკრატიის ქვეყნიდან 10 მონარქიული სახელმწიფოა: ინგლისი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ნიდერლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, ავსტრალია და ახალი ზელანდია (მონარქის დომინიონები) და სხვ. მაშინ როდესაც არამონარქიული სტაბილური დემოკრატიის ქვეყნები თითზე ჩამოსათვლელია (აშშ, შვეიცარია...).

დემოკრატიისგან განსხვავებული, მისი საპირისპირო სახელმწიფო ფორმაა დესპოტია, ავტოკრატია, სამხედრო დიქტატურა და სხვ.

დემოკრატიული რევოლუციები ჩვეულებრივ თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხდება, მაგრამ მას თან „დემოკრატიული ილუზიებიც“ ახლავს. დემოკრატია, როგორც ხალხის მმართველობა, განუხორციელებელი და ტექნიკურად შეუძლებელია. ხალხი არ არის კომპეტენტური პოლიტიკაში და არც საკმარისად ინფორმირებული. ის ყოველთვის მსხვერპლია. დემოკრატიზმს საშუალოები აჰყავს იერარქიული კიბის ზედა საფეხურებზე, იწვევს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ეროზიას. უმრავლესობის დემოკრატია იგნორირებს ადამიანებს შორის ხარისხობრივ განსხვავებებს. ცრუ იდეაა, თითქოს მასისთვის ხელმისაწვდომი იყოს პოლიტიკა. ხალხს სჯერა მითების და ხშირად ჭეშმარიტებადაც აღიარებს მათ.

ხალხის ხელისუფლების გულუბრყვილო იდეას უარყოფს ელიტიზმი. დღეს აღიარებული იდეაა დემოკრატიისა და ელიტიზმის კომპრომისული შერწყმა — „დემოკრატიული ელიტიზმის“ სახით.

არსებობს ე. წ. „საბაზრო დემოკრატიაც“, როდესაც გასაყიდად გამოაქვთ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრამები და მასები — „მყიდველები“ ყიდულობენ ან არ ყიდულობენ მათ არჩევნების დროს.

„დემოკრატიულია მთავრობა, რომელსაც ხალხი უჭერს მხარს“ (ი. შუმპეტერი).

„დემოკრატიაზე ყბედობა ეს არის მანიპულატორთა ელიტის პლუტოკრატიული დემაგოგია“ (ვ. პარეტო).

„დემოკრატიაა ისეთ სისტემას ჰქვია, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა პოლიტიკურ თანასწორობას, მაგრამ არ იძლევა სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის გარანტიას“ (უ. სტემპსი).

„მმართველობის არც ერთი ფორმა არ ესადაგება დემოკრატიის პოსტულატებს“ (რ. მიხელსი).

ნ. კერესელიძე

რედაქტორი თამარ ებრალიძე
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი, მარიკა აბაიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-81-57.

იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible] ქუჩა № 19

ინდექსი 66421